645
1970
ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

დეკემბერი
№ 12 1970 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში
საბჭოთა
ხელისუფლების
დამყარებისა
და
საქართველოს
კომუნისტური
პარტიის
დაარსების
50
წლისთავი
სათვის



მწერალ დიმიტრი გულიას ძეგლი ქ სოხუმში.
მოქანდაკე გ. რუხაძე.

საქართველოს
ულამაზეს
კუთხეს,
საბჭოთა
აფხაზეთს
ვუძღვნით
ამ
ნომერს

ნომრის ფოტოები მოამზადა დ. იაკობაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰერტა კუუსინენი,
ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის პრეზიდენტი.

# ქალთა საერთაშორისო ფედერაციის 25 წლისთვის

ჯერ კიდევ ხრჩოლავდა ნახანძრალები, ჯერ კიდევ არ შეეკრა პირი მსოფლიოს სხეულზე დარჩენილ იარებს, არ მიწყნარებულიყო მოთქმა დაობლებული, დანგრეული ოჯახებისა, როცა კაცობრიობის მომავლით შეშფოთებულნი შეიკრიბნენ დედები საფრანგეთის დედაქალაქში.

ეს იყო 1945 წლის პირველ დეკემბერს.

და იმ დღეს ქ. პარიზში, ქალთა საერთაშორისო კონგრესზე, რომელსაც ესწრებოდნენ მსოფლიოს 40 ქვეყნის წარმომადგენლები, შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია (ქსდფ).

დღიდან დაარსებისა — 1967 წლამდე ფედერაციის უცვლელი პრეზიდენტი გახლდათ ეჟენი კოტონი (საფრანგეთი), შემდეგ — სესილ იუჟელი (საფრანგეთი), ხოლო 1969 წლის ივნისიდან ქსდფ-ს VI კონგრესზე პრეზიდენტად არჩეულია ჰერტა კუუსინენი (ფინეთი).

სადღეისოდ ფედერაცია აერთიანებს ყველა კონტინენტის 87 ქვეყნის 93 ეროვნულ ორგანიზაციას. მან შესძლო მოეცვა ყველა სოციალური ფენა პოლიტიკური, ფილოსოფიური თუ რელიგიური შეხედულებების მიუხედავად, შესძლო ყველა კონტინენტის ქალთა გაერთიანება, მიუხედავად მათი ქვეყნების სოციალური წყობისა.

ქსდფ ამყარებს კავშირს და ახორციელებს თანამშრომლობას ქალთა ისეთ დიდ რეგიონალურ და ეროვნულ გაერთიანებებთან, როგორიცაა: სრულიად აფრიკის ქალთა კონფერენცია, სრულიად არაბეთის ქალთა ფედერაცია, ამერიკელ ქალთა მოძრაობა — „ქალებო, იბრძოლეთ მშვიდობისათვის“, კანადის — „ქალთა ხმა“. დასავლეთ გერმანიის — ქალთა მოძრაობა მშვიდობისათვის და სხვა.

ქსდფ თანამშრომლობს სხვა საერთაშორისო დემოკრატიულ ორგანიზაციებთანაც. ასეთებია: მშვიდობის მსოფლიო საბჭო, პროფკავშირების საერთაშორისო ფედერაცია, დემოკრატიული ახალგაზრდობის საერთაშორისო ფედერაცია, სტუდენტთა საერთაშორისო კავშირი, აზიისა და აფრიკის სოლიდარობის ორგანიზაციები და სხვ.

ზრუნვა ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული თავისუფლებასათვის, მშვიდობისა და განიარაღებისათვის, ქალთა უფლებების მოპოვებისა და დაცვისათვის, ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის, — აი, რა შეადგენს ფედერაციის საქმიანობას.

ამ წლების მანძილზე ფედერაციამ მოიწვია 6 დიდი კონგრესი. გარდა ამისა, — დედათა საერთაშორისო კონგრესი ქ. ლოზანაში, საერთაშორისო შეხვედრა ქალთა დღის 8 მარტის 50 წლისთავზე კოპენჰაგენში, მშვიდობისა და განიარაღებისადმი მიძღვნილი ორი საერთაშორისო კონფერენცია ზალცბურგსა და ვენაში, ბავშვთა პრობლემებისადმი მიძღვნილი მსოფლიო კონფერენცია ქ. სტოკჰოლმში, ჩატარდა რეგიონალური შეხვედრები და სემინარები. ფედერაცია მონაწილეობდა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო მოძრაობის ყველა საერთაშორისო ფორუმში, აზიისა და აფრიკის ქვეყნების პროგრესული ორგანიზაციების ყველა მოძრაობაში. ბავშვთა საერთაშორისო დღის ყოველწლიურად და მაღალ დონეზე ჩატარება ქსდფ-ს მოღვაწეობის ერთ-ერთი ამოცანაა.

საყოველთაოდ ცნობილია, რა დახმარება გაუწია ფედერაციამ მებრძოლ ვიეტნამს. მან მთელი რიგი კონკრეტული აქციები ჩაატარა, რომელთაც ფართოდ გამოეხმაურა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ქალთა საზოგადოებრიობა და მორალური, პოლიტიკური და მატერიალური დახმარება გაეწია ვიეტნამის ქალებსა და ბავშვებს.

ფედერაცია ასევე დიდ ყურადღებას აქცევდა არაბეთის ქვეყნების ქალებსა და ბავშვებს. ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის დაწყების დღიდან იგი ისრაელ აგრესორთა გაკიცხვისა და არაბეთის ქვეყნების ხალხთა მხარდაჭერის პოზიციაზე დადგა.

ქსდფ თანმიმდევრულად გამოდიოდა საბერძნეთის, პორტუგალიის, ესპანეთის, ლათინური ამერიკის ქვეყნების თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის მებრძოლთა დამცველად, მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევდა ანგოლის, გვინეა-ბისაუს, მოზამბიკის, სამხრეთ აფრიკისა და სხვა ქვეყნების ქალებს, მხარს უჭერდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რასიზმისა და აპართეიდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ქსდფ თანმიმდევრულად აფართოებდა თავის მოღვაწეობას ყველა იმ დარგში, რომელიც ქალთა უფლებების დაცვას ეხება, იბრძოდა ყველა იმ იურიდიული კანონის მისაღებად, რომელიც უზრუნველყოფს ქალთა თანასწორუფლებიანობას სხვადასხვა სფეროში, ხოლო იქ, სადაც ეს კანონები არსებობს, იბრძვის კანონებსა და სინამდვილეს შორის არსებული განსხვავების ლიკვიდაციისათვის.

ქსდფ ყოველდღიურ კონტაქტშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და იუნესკოსთან, აცნობს მათ ქალთა მისწრაფებებსა და მოთხოვნებს, ილწვის იმისათვის, რომ ეს მოთხოვნები და მისწრაფებები აისახოს სათანადო გადაწყვეტილებებსა და რეკომენდაციებში.

1968 წელს ფედერაციამ გამოაქვეყნა ბროშურა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საერთაშორისო დოკუმენტების მიხედვით — ყველაფერი, რაც შეეხება ქალთა უფლებებს (დეკლარაციები, კონვენციები, რეზოლუციები, რეკომენდაციები).

ამჟამად ქსდფ მუშაობს თავის VI კონგრესზე მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით.

ბრძოლა მშვიდობისათვის, კაცობრიობის სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის — ასეთია ქსდფ უმაღლესი საბრძოლო დანიშნულება.

ვუსურვოთ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციას ახალი წარმატებანი მის კეთილშობილურ საქმიანობაში.



# ოქტომბრის გზით ბრწყინვალე

**ვ. ქობახია,**
საქართველოს კომპარტიის
აფხაზეთის
საოლქო კომიტეტის
პირველი მდივანი.

აფხაზეთში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა, — ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელები ემზადებიან სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოსა და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის შესახვედრად. დღითი დღე ფართოვდება სოციალისტური შეჯიბრება, რაც სინამდვილეში ლენინური შრომითი ვახტის გაგრძელებაა.

პროგრესი დაპირისპირებით შეიცნობა. აფხაზეთის რესპუბლიკის სოციალურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში ამ 50 წლის მანძილზე მომხდარი უდიდესი ცვლილებანი მჭევრმეტყველურად ადასტურებენ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობის უპირატესობას, ლენინური იდეების ცხოველმყოფელობას. მომავალი საიუბილეო თარიღები ის მწვერვალია, საიდანაც კარგად მოსჩანს 50 წლის მანძილზე განვლილი გზა.

მზე ერთ წვეთ წყალშიც აირეკლებაო, ამბობს ანდაზა. აფხაზეთის დღევანდელობაში ასახულია ის გრანდიოზული მიღწევები, რომლებიც მოიპოვეს საქართველოს რესპუბლიკის მშრომელებმა ლენინური გზით ტრიუმფალური სვლის წლებში. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველოს რესპუბლიკის დროშაზე ორი ლენინის ორდენი ბრწყინავს, და ამ ორდენებით იგი დაჯილდოვდა სოციალისტურ მშენებლობაში მიღწეული წარმატებებისათვის, ვამაყობთ იმით, რომ პირველ ხუთწლედებში ეკონომიკისა და კულტურის განვითარების საქმეში მოპოვებული გამარჯვებებისათვის მთავრობის ასევე მაღალი ჯილდო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასაც მიენიჭა.

ტრაგიკულია აფხაზი ხალხის წარსული. უკუღმართმა ისტორიულმა პირობებმა იგი გასწირა სილატაკის, გადაშენებისა და გაქრობისათვის. ასეც მოხდებოდა, მხნელად დიდი ლენინი რომ არ მოგვევლინებოდა, ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას რომ არ გაემარჯვნა. ამიტომ, როცა ჩვენს მიღწევებზე ვლაპარაკობთ, გონების თვალით ყოველთვის მშრომელთა დიდ ბელადს მივმართავთ, ულრმესი სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობით ვიმეორებთ მის სახელს.

ვლადიმერ ილიას ძეს აფიქრებდა კავკასიის ხალხთა ბედი. იგი ხედავდა, თუ როგორ ახრჩობდა თვითმპყრობელობა ამ მხარის მკვიდრ მოსახლეობას, თუ როგორ აგულიანებდა ერთ ერს მეორის წინააღმდეგ, როგორ აღატაკებდა და სდევნიდა მათ.

დიდმა ოქტომბერმა სამუდამოდ დაამსხვრია და შორს მოისროლა ექსპლოატატორული წყობილების ბორკილები ჩვენს ქვეყანაში. აფხაზეთში, მთელ ჩვენს დიად სამშობლოსთან ერთად, დამკვიდრდა ახალი, თავისუფალი ცხოვრება და აი, უკვე ნახევარი საუკუნეა აფხაზეთის ხალხს, საბჭოთა კავშირის ხალხთა ერთიან ძმურ ოჯახში, საქართველოს სს რესპუბლიკის შემადგენლობაში, თავისი წვლილი შეაქვს დედამიწაზე ყველაზე უფრო ნათელი, ყველაზე უფრო სამართლიანი საზოგადოების მშენებლობაში. ჩვენი ცხოვრების რა სფეროც არ უნდა ავიღოთ, ყველგან ვხედავთ ჩვენი მუშების, გლეხების, ინტელიგენციის შრომის შესანიშნავ ნაყოფს.

საბჭოთა ადამიანები შეჩვეული ვართ ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის დიდ მასშტაბებს. მიუხედავად ამისა, როცა ერთმანეთს ვადარებთ რევოლუციამდელ და დღევანდელ აფხაზეთს თავისი მაღალგანვითარებული მრეწველობით, მექანიზებული სოფ- [illegible] სოციალი[illegible] [illegible] რებს ცვლილებათა სიდიადე. მოვიყვანთ მხოლოდ ერთ შედარებას: საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთის კუსტარული მრეწველობა 186 ათასი მანეთის პროდუქციას იძლეოდა წელიწადში. ახლა ეს მაჩვენებელი ათასჯერ და უფრო მეტად არის გაზრდილი.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში აშენდა თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ბევრი საწარმო. ტყვარჩელში, რომელიც ვ. ი. ლენინის ჩანაფიქრით არის აგებული, ამჟამად მოქმედებს 7 დიდი შახტი, მძლავრი თბოელექტროსადგური, მთელი რიგი სხვა მსხვილი საწარმოები. ერთ დროს უდაბურ ადგილას წარმოიქმნა დიდი ქალაქი, ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ინდუსტრიული ცენტრი.

აფხაზეთის მსუბუქი და კვების მრეწველობის საფუძველია 12 ჩაის ფაბრიკა, საკონსერვო და ღვინის ქარხნები, თამბაქოს საფერმენტაციო, ეთერზეთოვანი, თამბაქოს, საფეიქრო, საგალანტერიო ფაბრიკები და ბევრი სხვა საწარმოები. თანდათან მძლავრი ხდება ისეთი ახალი საწარმოები, როგორიცაა სოხუმის ხელსაწყოებისა და გაზების აპარატურის ექსპერიმენტული ქარხნები.

აფხაზეთის მშრომელები წარმატებით ასრულებენ ხუთწლედის დავალებებს, წინ უსწრებენ დადგენილ გეგმებს.

რესპუბლიკის მრეწველობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარების საფუძველი გახდა ელექტროფიკაცია. აფხაზეთის ელექტროსადგურები იძლევა მთელი საქართველოს ელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ენერგიის ერთ მეექვსედს. ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოებზე მოდის მთლიანად რესპუბლიკაში მოპოვებული მაგარი სათბობის თითქმის 40 პროცენტი.

სოფლის მეურნ[illegible]ბის განვითარების თანა[illegible]დროვე ეტაპის და[illegible]ათეველია მიწათმოქმედების კულტურის შესამჩნევი ამაღლება. ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინო მუშაობა მიმდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის შემდეგ.

ახლა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განკარგულებაშია ორი ათასზე მეტი ტრაქტორი, 200-მდე ჩაის საკრეფი მანქანა და ბევრი სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ფართოდ ვიყენებთ მინერალურ სასუქებს, მექანიზებული ბრძოლა წარმოებს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ.

სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია ჩაის კულტურა. იგი სწრაფი ტემპით ვითარდება რესპუბლიკაში. თუ 1921 წელს აფხაზეთში მხოლოდ 0,4 ჰექტარზე იყო გაშენებული ჩაი, ახლა ჩაის კულტურას 14 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი უკავია. იკრიფება 40 ათას ტონაზე მეტი ფოთოლი. წლევანდელ სეზონში აფხაზეთის მეჩაიეებმა ფოთლის კრეფის გეგმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს. წლიდან წლამდე იზრდება საშუალო მოსავლიანობა, ახლა [illegible]ლიან პლანტაციებში ჰექ[illegible]

იმ ზიასის [illegible] ვებს მიაყენა მცენარის დაავადებამ — პერონოსპოროზმა, შეიქმნა დაავადებაგამძლე თამბაქოს ახალი ჯიშები, რაც ჰქმნის თამბაქოს ფოთლის მოსავლიანობისა და ხარისხის ამაღლების უტყუარ საშუალებას.

მთელ რიგ კოლმეურნეობათა შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მეციტრუსეობა. ახლა ჩვენს რესპუბლიკაში ციტრუსების ნარგავთა ფართობი 4 ათას ჰექტარს აჭარბებს.

შეიძლება ბევრი რამ ითქვას სოფლის მეურნეობის სხვა დარგების განვითარების შესახებაც. ერთხელ კიდევ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებათა უდიდესი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების საქმეში. ახლა მთელი ჩვენი ღონისძიება მიმართულია პარტიის მიერ შემუშავებული ამ უმნიშვნელოვანესი გეგმების პრაქტიკული განხორციელებისაკენ.

საყოველთაოდ ცნობილია აფხაზი ხალხის, ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები ეროვნული კულტურის განვითარების დარგში. კულტურულმა რევოლუციამ შესაძლებლობა მოგვცა გვქონოდა მშობლიური ლიტერატურა, სკოლები, სადაც სწავლება მიმდინარეობს აფხაზურ ენაზე, ეროვნული მხატვრული კოლექტივები. ლენინური ეროვნული პოლიტიკის ცხოველმყოფელმა სხივებმა შეაღწია ჩვენი ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭულში.

უუფლებობა, დამცირება, სოციალური და საზოგადოებრივი არასრულფასოვნება — აა[illegible] [illegible]ვოლუციამდელ [illegible]უფლების წლებში გაიზარდა ქალთა ახალი თაობა — ღრმად დაინტერესებული საზოგადოებრივი საქმიანობით, გამორჩეული განათლებისა და კულტურის მაღალი დონით. ქალები კომუნისტური საზოგადოების სრულუფლებიანი მშენებლები არიან. ეს არის მშვენიერი სიმბოლო განახლებული აფხაზეთისა.

აფხაზეთის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ყოველნაირად უწყობენ ხელს საწარმოო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა ფართოდ ჩაბმას. ჩვენში ექიმთა ნახევარზე მეტი ქალებია. ბევრი ქალია პედაგოგი, ინჟინერი, ეკონომისტი, ტექნიკოსი. გასულ წელს ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად 2.309 ქალი იქნა არჩეული. ეს დეპუტატთა საერთო რიცხვის 45 პროცენტს შეადგენს. ასეთი მაგალითები მრავლად შეიძლება დავასახელოთ. მაგრამ ნათქვამიც საკმაოდ დამარწმუნებლად მეტყველებს იმ უდიდეს სოციალურ და კულტურულ გარდაქმნებზე, რომლებიც განხორციელდა ჩვენს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში. მოპოვებული გამარჯვებანი ახალ ძალებს გვმატებს, უდიდესი მადლიერების გრძნობით გვავსებს მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი, რომელსაც ნაცადი ლენინური გზით მიჰყავს ჩვენი ქვეყნის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.



**ლუბა შამბა,**
*სოციალისტური შრომის გმირი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# აფხაზეთის ქალები

სისხლსავსე, მჩქეფარე ცხოვრება აქვთ დღეს აფხაზეთის ქალებს. ისინი მამაკაცების მხარდამხარ შრომობენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად.

საბჭოთა ქალისათვის შრომა არა მარტო საარსებო სახსრების მოპოვების საშუალებაა, არამედ სინდისის, ადამიანური ღირების საქმეა. აფხაზეთის ქალებს კარგად ესმით მიმდინარე ხუთწლიანი გეგმის ამოცანების სიდიადე და თავდაუზოგავად იღწვიან ამ გეგმების ვადაზე ადრე შესრულებისათვის.

ვინ მოთვლის, ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის რამდენმა ქალმა მოიპოვა კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება საწარმოებში, ტრანსპორტსა თუ მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში! ასობით ქალს მიენიჭა მთავრობის ჯილდო. აფხაზეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 48 ქალი სოციალისტური შრომის გმირია; სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ტრანსპორტის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის 243 ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. ვინ არ იცნობს შრომის ვეტერანებს — მარია ადლეიბას, ცაცა ქარდავას, ციალა ყოლბაიას, მათ მიმდევრებს — გულქა შოუას, ლუსია გამსახურდიას, ზარტარ მინოსიანს, ელვირა როოჩენს, ნაზიბროლა ხასაიასა და სხვებს, მრავალს.

აფხაზეთიდან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად არჩეულია 17 ქალი, აფხაზეთის ასსრ უმაღლეს საბჭოში — 45, რაიონული, საქალაქო, სადაბო და სასოფლო საბჭოებში კი — 2019 ქალი.

მრავალი შვილის შობისა და აღზრდისათვის „გმირი დედის" საპატიო სახელი მიენიჭა 271 ქალს, 20 ათასზე მეტი მრავალშვილიანი დედა დაჯილდოვდა ორდენით „დედობის დიდებითა" და „დედობის მედლით".

დიდი მუშაობა გასწიეს აფხაზეთის ქალთა საბჭოებმა პარტიის ოცდამესამე ყრილობის მიზანდასახულებათა განხორციელებისათვის ქალთა უფართოესი მასების დასარაზმად. ქალთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები შეისწავლიან მოწინავე ქალების შრომით გამოცდილებას, წარმოებაში შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს, ინტერესდებიან ბავშვთა აღზრდის საკითხებით, ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციითა და სხვ.

აფხაზეთის ქალები გულმხურვალედ გამოეხმაურნენ ჰელსინკში გამართულ ქალთა მსოფლიო კონგრესის მოწოდებას, რომელიც მიმართულია თანასწორუფლებიანობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისა და მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერებისაკენ.

მებრძოლ ვიეტნამელ ქალებთან სოლიდარობის ნიშნად, ქალთა საბჭოებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა ვიეტნამელი ქალებისა და ბავშვების დასახმარებლად. საწარმო-დაწესებულებების ქალთა საბჭოებმა ვიეტნამში გაგზავნეს მედიკამენტები, სასწავლო ხელსაწყოები და სათამაშოები. მარტო გასულ წელს 15 ათასი მანეთი ჩარიცხეს სოხუმისა და ტყვარჩელის საქალაქო, ოჩამჩირის, გულრიფშისა და გუდაუთის რაიონულმა ქალთა საბჭოებმა. ფულადი სახსრების შეგროვება დღესაც გრძელდება.

ქალთა საბჭოების ინიციატივით მრავალი საინტერესო ღონისძიება ტარდება. ესაა შეხვედრები სხვადასხვა თაობის ან სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მომუშავე ქალებისა, გმირი დედებისა. დიდ სამამულო ომში გამარჯვების 25 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმის დღეებში მოეწყო ომის მონაწილე ქალების შეხვედრა.

ქალთა საბჭოების წევრებმა წესრიგში მოიყვანეს სამამულო ომში დაღუპულთა საფლავები, გვირგვინებითა და ყვავილებით შეამკეს ისინი.

ამ მრავალმხრივ და საინტერესო მუშაობაში ქალთა საბჭოებს ქმედით დახმარებას უწევენ პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

ნელი ტრაპში,

აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი,

ქალთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# იზრდება განათლებული თაობა

რევოლუციამდელი აფხაზეთი წარმოადგენდა უუფლებო, ჩამორჩენილ მხარეს. სავალალო იყო აფხაზი ხალხის წარსული. მეფის რუსეთი ყოველგვარ ღონეს ხმარობდა შეეფერხებინა ადგილობრივ მცხოვრებთა სწავლა-განათლების საქმე. დიდი იყო წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი, ხოლო სკოლები, რომლებიც მაშინ არსებობდა, ზრდიდნენ მეფის ერთგულ მსახურთ. განათლების მთელი სისტემა ემორჩილებოდა მეფის კოლონიურ პოლიტიკას; ნებადართული არ იყო სწავლა მშობლიურ ენაზე. წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მოზრდილ მოსახლეობაში შეადგენდა 2 პროცენტს.

1904 წელს სოხუმის გუბერნიაში (ასე ეწოდებოდა მაშინ აფხაზეთს) სახალხო განათლებისათვის სულ გათვალისწინებული იყო 800 მანეთი, 1914-1915 სასწავლო წელს აფხაზეთში იყო 150 სკოლა, მათ შორის მხოლოდ 2 საშუალო, 148 კი — დაწყებითი; მოსწავლეთა რიცხვი მთლიანად 7.500-ს აღწევდა. სპეციალური საშუალო და უმაღლესი სასწავლებელი იმ პერიოდში აფხაზეთში საერთოდ არ არსებობდა, ხოლო რომელიმე კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. არსებული სკოლებიდან არც ერთს არ გააჩნდა კეთილმოწყობილი შენობა. 14 წლის განმავლობაში (1901-დან 1914 წლამდე) აშენდა მხოლოდ 4 სკოლა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართოდ გაიხსნა სკოლების კარი მუშათა, გლეხთა და ინტელიგენტთა ბავშვებისათვის. ამჟამად აფხაზეთში 475 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა და სკოლა-ინტერნატია, სადაც სწავლობს და იზრდება 108 ათასი მოსწავლე, სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება 7861 მასწავლებელი და აღმზრდელი, მათ შორის 4.957 უმაღლესი განათლებითაა.

დიდი წვლილი მიუძღვით ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში პედაგოგებს: დ. გულიას, თ. ეშბას, პ. ჭარაიას, ა. ჩოჩუას, ს. ბასარიას, პ. შაკრილს, კ. ძიძარიას, მათ შექმნეს აფხაზური ანბანი, დაამუშავეს და გამოუშვეს მრავალი აფხაზური სახელმძღვანელო. 1933 წლიდან აფხაზეთში ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

თუ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე იყო მხოლოდ ერთი აფხაზური სკოლა, ხოლო მოსწავლეთა რიცხვი 1000-ს არ აღემატებოდა, ამჟამად აფხაზეთში არის 98 აფხაზური სკოლა 18 ათასი მოსწავლით.

აფხაზეთში მუშაობს 15 სამეცნიერო დაწესებულება, 6 საშუალო სპეციალური და 2 უმაღლესი სასწავლებელი, სადაც სწავლობს 8500 სტუდენტი; უმაღლეს სასწავლებლებსა და სამეცნიერო დაწესებულებებში 700-ზე მეტი მეცნიერი მუშაკი მუშაობს, მათ შორის 30 მეცნიერების დოქტორია, ხოლო 308—მეცნიერების კანდიდატი. ასეთი დიდი მიღწევები მეცნიერების, კულტურისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შედეგია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვისა.

განსაკუთრებით დიდია ქალების როლი სახალხო განათლების დარგში. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მომუშავე 7861 მასწავლებლიდან 4.875 ქალია (სულ განათლების სისტემაში 12.181 მუშაკია, მათ შორის 7.987 ქალია.). მოზარდი თაობის აღზრდის საქმეში თავი გამოიჩინეს ჩვენმა სახელოვანმა პედაგოგებმა, საქართველოს სსრ და აფხაზეთის ასსრ სკოლის დამსახურებულმა მასწავლებელმა ზინაიდა ციკოლიამ, ლეილა ანჩაბაძემ, ვერა ქუჩუბერიამ, ვერა თარბამ, ტასია მალიგინამ, დინა ტამბიამ, ვენერა ხუბულავამ — ქ. სოხუმიდან; თამარ ფარფალიამ, მადიშა გამსახურდიამ — გალის რაიონიდან; ვენერა მანიამ, ნელი თელიამ, სულიკო კუპრავამ — სოხუმის რაიონის სკოლებიდან. ისინი ენერგიას არ ზოგავენ, რათა სამშობლოს აღუზარდონ განათლებული და შრომისმოყვარე ახალგაზრდობა, კომუნიზმის მშენებელი მომავალი თაობა.

**ჭ. კოკაია,**
აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრის მოადგილე.

---

**ბაგრატ შინკუბა,**
აფხაზეთის სახალხო პოეტი.

# და ილტვის მზისაკენ

მზიანი ზეცის კამკამა კიდეს
ხე კაწრავს —
კლდეზე ამაყად მდგარი...
ტოტების ხელებს ვარსკვლავებს ჰკიდებს,
ვერაფერს აკლებს ყინვა და ქარი.

ო, ღმერთო ჩემო, საიდან გაჩნდა
ამ სიმაღლეზე,
ამ კლდეთა ქიმზე!
მეხთატეხაში როგორ გადარჩა,
ელვა-გრიგალში რა ძალას იძენს!

ბუდის საფენად მთის არწივს ეგებ
მიჰქონდა შტო და... დაჰვარდა უცებ...
შტომ ფესვი გადგა,
გადიქცა ნერგად
და ახლა აგერ ქარიშხლებს უძლებს!..
ვინ იცის...
ხე კი ხარობს და ლაღობს,
კენწეროთ მზესთან აჭრილა უკვე,
ზამთარ და ზაფხულ, ვინც უნდა ნახოს,
ხეს გამძლეობას და ჟილაგს უქებს.

როდეს მწვერვალზე გადმოვა ჭანღი —
მეხი მუხასაც გააპობს ორად,
ის ხე კი ლაღად შრიალებს მაღლით,
არ არცხვენს თავის ჯიშსა და ორანს!..

თოვლი ხრჭიალით წააწვენს ნაძვებს,
იმსხვრევა ხეთა ჯიში მრავალი,
ის ხე კი გაძლებს, ყოველთვის გაძლებს,
და ილტვის მზისკენ ზეაღმავალი.

— როგორ ძლებს ის ხე? —
პასუხი მესმის,
ამაღლდა ხმა და იმ ხესაც მისწვდა:
— როგორ და... კლდეში გაუდგამს ფესვი,
როგორ და... კლდეა იმისი მიწა!

აფხაზურიდან თარგმნა
**გივი ძნელაძემ**



ო. ქვანია

# ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლნი

ამ წერილით გვსურს მკითხველებს გავაცნოთ აფხაზი ხალხის ღირსეული ქალიშვილები, რომლებიც მამაკაცებთან ერთად იბრძოდნენ უკეთესი მომავლისათვის, თავიანთი წვლილი შეჰქონდათ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების საქმეში.

მუგუძირხველი გლეხის შვილი მარიამ კონსტანტინეს ასული ჯიქირბა პირველი შეხვედრისთანავე იპყრობს თქვენს ყურადღებას. მიმზიდველი, კეთილი და სანდომიანი სახე, დინჯი და აუჩქარებელი საუბარი გხიბლავთ და სურვილი გიჩნდებათ, რაც შეიძლება უფრო ღრმად ჩაიხედოთ ამ კეთილშობილი ადამიანის გულში, დაინახოთ და შეიგრძნოთ ყოველივე, რაც მას შვიდი ათეული წლის მანძილზე განუცდია.

მიუხედავად იმისა, რომ იმ პერიოდში ძნელი და სახიფათო იყო არალეგალური რევოლუციური მუშაობა, და ისიც ქალისათვის, მარიამი ერთ-ერთი პირველთაგანი დაადგა ღარიბთა და დაბეჩავებულთა განთავისუფლებისათვის ბრძოლის გზას.

თექვსმეტი წლის ქალიშვილი გუდაუთის უბანში ჩამოყალიბებული პარტიზანული რაზმის „კიარაზის" აქტიური წევრი გახდა. იგი ასრულებდა პასუხსაგებ დავალებებს — კავშირს ამყარებდა ბათუმში მყოფ ბოლშევიკ-იატაკქვეშელებთან, აწვდიდა მათ საბუთებსა და ფულს.

ეს გულადი ქალიშვილი კიარაზელებთან ერთად იარაღით ხელში მონაწილეობდა აფხაზეთის განთავისუფლებისათვის წითელი არმიის შეტევით ბრძოლებში 1921 წელს.

1921 წლის 4 მარტმა ახალი ცხოვრება დაამკვიდრა აფხაზეთში, ისტორიას ჩაბარდა წარსული. დადგა ახალი დრო, ახალი იმედის, ახალი საქმიანობის დრო, რომელსაც უნდა განემტკიცებინა ბრძოლით მოპოვებული თავისუფლება. მარიამ კონსტანტინეს ასული ჯიქირბა გატაცებით იწყებს მუშაობას სახალხო მილიციის ორგანოებში. ბევრი სიძნელის გადალახვა მოუხდა მარიამს ამ უბანზე ყოფნისას.

მილიციის ორგანოების შემდეგ აფხაზეთის კურორტების მთავარ სამმართველოში იყო, შემდეგ გუდაუთის რაიაღმასკომში, აფხაზეთის სამრეწველო კავშირში, წითელი ჯვრის საზოგადოების საოლქო კომიტეტში. ყველგან მთელი ენერგიით და გმირული შემართებით ეკიდებოდა საქმეს, იჩენდა ჩვეულ გულისხმიერებას ადამიანებისადმი.

ამჟამად მარიამ კონსტანტინეს ასული ჯიქირბა პენსიაზეა, მაგრამ კვლავ აქტიურად მონაწილეობს საზოგადოებრივ საქმიანობაში.

აფხაზი ხალხის სახელოვანი შვილი ანდრიუშკა ანტონის ასული კობახია დაიბადა 1896 წელს ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბაში. მან ოთხი კლასი მშობლიურ სოფელში დაამთავრა. ადრე მიიქცია მისი ყურადღება საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებმა, ნათლად დაინახა ის სოციალური უთანასწორობა, რაც მაშინ იყო გამეფებული. ამიტომ იყო, რომ სრულიად ახალგაზრდამ, უყოყმანოდ აირჩია რევოლუციური ბრძოლის გზა. ანდრიუშკა აქტიურად ჩაება კოდორის უბნის პარტიზანული რაზმის საქმიანობაში. პირნათლად ასრულებდა კომკავშირის ორგანიზაციის დავალებას, ეწეო-



მ. ჯიქირბა



ა. კობახია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგიტაციას ხალხში, განსაკუთრებით ახალგაზრდებთან, დაუნდობლად ამხელდა მაშინდელი მთავრობის პოლიტიკას. აქტიური კომკავშირელი პარტიის რიგებში მიიღეს.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ანდრიუშკა კობახია გამოდიოდა მოსახლეობაში ახალი წყობის მგზნებარე პროპაგანდისტად.

სრულყო რა თავისი განათლება, იგი სხვადასხვა დროს მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტში ქალთა განყოფილების ინსტრუქტორად, პარტიის ოჩამჩირის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგედ.

სწორედ ამ პერიოდში ა. კობახია ეწეოდა დიდ მუშაობას აფხაზ ქალთა გათვითცნობიერებისათვის და დაუნდობლად ამხელდა ქალის საუკუნოებით დამკვიდრებულ, დამმონებელ ადათ-წესებს. მას ოჩამჩირის რაიონის თითქმის ყველა სოფელი ფეხით ჰქონდა შემოვლილი.

ის გარდაიცვალა სრულიად ახალგაზრდა, 34 წლის ასაკში. მისმა ნათელმა ცხოვრებამ წარუშლელი კვალი დასტოვა თანამემამულეების ხსოვნაში.

მზიური აფხაზეთის სახელოვან შვილთა პლეადას ეკუთვნის ძველი რევოლუციონერი, პერსონალური პენსიონერი თამარ ტარიელის ასული მაჭავარიანი-კოზმავა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის გაჩაღებული ბრძოლის წლებში ესტრადის ახალგაზრდა მსახიობმა გადაწყვიტა თავისი ნიჭი და უნარი მშრომელი ხალხისათვის, მისი მომავლისათვის მოეხმარებინა. გაეცნო იატაკქვეშ მყოფი პარტიული ორგანიზაციის აქტიურ წევრებს. მისი ბინა გადაიქცა არალეგალური კრებების და შეხვედრების ადგილად. მან იკისრა იატაკქვეშა მეკავშირის პასუხსაგები და სახიფათო მოვალეობა. პარტიის დავალებით ის ჩადიოდა ბათუმსა და თბილისში, ასტრახანსა და ბაქოში, პეტროგრადსა და სხვა ქალაქებში. ვინ წარმოიდგენდა, რომ ახალგაზრდა ქალს გადაჰქონდა პროკლამაციები, წერილები, რევოლუციური ლიტერატურა ბოლშევიკებისათვის, პატიმრობაში მყოფი ამხანაგებისათვის.

მრავალი საინტერესო ეპიზოდითაა მდიდარი თამარ ტარიელის ასულის საბრძოლო ცხოვრება. მაგრამ ყველაზე მეტად ამაყობს იგი, სპეციალური დავალებით სერგო ორჯონიკიძეს რომ შეხვდა.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის სხვა რევოლუციონერი ქალებიც იბრძოდნენ: მარიამ ილარიონის ასული კუხალეიშვილი, მარგარიტა ყარამანის ასული გაბუნია, მარია იასეს ასული კარაგოდსკაია, ანა არკადის ასული სოლოვიოვა-კატოვა და სხვები.

მათი საქმეებით დღესაც ამაყობს ჩვენი ხალხი.

ოლღა ჟვანია



მაყვალა გელაშვილი,
ოჩამჩირის რაიონის სოფელ
ბესლახუბის მოწინავე მეჩაიე.

# ოჩამჩირის რაიონი

სულიერად ლამაზი, დიდი ნებისყოფითა და ვაჟკაცობით დაჯილდოებულ ქალთა მთელი თაობა აღიზარდა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ოჩამჩირის რაიონში. მათი საქმეებით ამაყობს რაიონი. ბევრი მათგანის სახელი ცნობილია რაიონის ფარგლებს გარეთაც. დავასახელებთ ზოგიერთ მათგანს: აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ყოფილი მუშა, ამჟამად კი საფერმენტაციო ქარხნის დირექტორი ბაბუცა კვეკვესკირი, სოციალისტური შრომის გმირები: მარია ადლეიბა, მაგნოლია ამიჩბა, ლილი ჩოლარია, მიჩა გამგია; საკოლმეურნეო მინდვრებისა და საწარმო-დაწესებულებათა სახელოვანი მშრომელები: შინო ჩოლარია, გულკა შოუა, ნელი ხოჯავა, ჟუჟა სალია, თამარ აპრესიძე, ალექსანდრა ვოუბა, ლუბა გორბენკო, იონინა ბონდარჩუკი, ნათელა ნიკოიანი, შამინა აშუბა, გალინა ანთია, ალექსანდრა ბენდელიანი, ალანია კესიანი, როზა კიუტი, ალა კოტელნიკოვა, ბაბუსა ტორჩუა, ნათელა ტანია, ლუბა ჩაჩავა, ლილი ჩხოტუა, მერი კაკავა, ვენერა შანავა და სხვები.

რაიონში 51 ქალი პასუხსაგებ სამუშაოზეა, ისინი მუშაობენ პარტორგანიზაციების მდივნებად, სკოლის დირექტორებად, სასწავლო ნაწილის გამგეებად, საბავშვო ბაღის გამგეებად.

ბევრი ქალი დაწინაურებულია პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ სამუშაოზე. ზაირა როდონაია კომკავშირის რაიკომის მეორე მდივანია, ელისაბედ მიქვაბია სახელმწიფო ბანკის ოჩამჩირის განყოფილების მმართველია, მარგალიტა ეთერია პარტიის რაიკომის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილეა.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში 416 ქალია არჩეული, მათ შორის რაიონულ საბჭოში — 41, საქალაქოში — 30, სასოფლო საბჭოებში — 345 ქალი.

ბევრ ორგანიზაციაში ნაყოფიერად მუშაობენ ქალთა საბჭოები. ისინი ადგილებზე სწავლობენ და იხილავენ, საჭიროების შემთხვევაში კი პარტიულ კრებებზე გააქვთ ქალთა შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენებისა და ბავშვთა აღზრდის უკეთ მოწყობის საკითხები.

ქალთა შორის მუშაობის რაიონული კომისია მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს ქალთა ნაყოფიერი შრომისათვის პირობების შესაქმნელად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, ფართო საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასაბმელად. ქალებისათვის იმართება ლექცია-მოხსენებები და საღამოები. მაგალითად, ჩატარდა ლენინის ორდენოსან ქალებთან შეხვედრა, ჩატარდა ქალთა საღამო თემაზე: „ადამიანში ყველაფერი კარგი უნდა იყოს — სახე, ჩაცმულობა, ფიქრები!“ ამ საღამოზე მოაწყეს მოდების დემონსტრირება, ახალი საქონლისა და კულინარული ნაწარმის გამოფენა, კონსულტაციები სხვადასხვა საკითხებზე. აპრილში მოეწყო თეორიული კონფერენცია თემაზე: „ლენინი ქალთა როლის შესახებ სოციალისტურ მშენებლობაში“.

ჩვენი რაიონის ქალები ეხმარებიან ვიეტნამისა და არაბეთის ქვეყნების ქალებსა და ბავშვებს, აგროვებენ სახსრებს მშვიდობის ფონდისათვის, აგზავნიან ამანათებს.

ოჩამჩირის ცენტრში დგას სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკი მწუხარე დედის გამოსახულებით. მის შესაქმნელად ქალაქის ქალთა აქტივმაც გაიღო სახსრები.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ შეუქმნეს ქალებს კმაყოფილი და ბედნიერი ცხოვრება, შემოქმედებითი შრომის ყველა პირობა. მადლიერი ქალები ყველაფერს აკეთებენ პარტიის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის, იმისათვის, რომ სულ უფრო და უფრო ვითარდებოდეს ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება.

რ. ჯონუა,
საქართველოს კომპარტიის ოჩამჩირის
რაიკომის მდივანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ახალი სოფელი

რეპორტაჟი

რა მშვენიერი ხარ შენ, ჩემო ახალო სოფელო! აფხაზეთის მთელი სილამაზე შენ მიგითვისებია, ხმელეთში ღრმად შეჭრილხარ, მაგრამ არც ზღვა მოგიტოვებია და შენი მარადმწვანე ხეებით მოგირთავს. გრილი სიო და ეს მაღალი ხეები ბიჭვინთის ნაპირს მაგონებს. საოცრად წყნარი,ყურესავით შეჭრილი სანაპირო შენი ნავსადგურია. 1905 წელს აქ მართლაც შემოსულა ნავი. სერგო ორჯონიკიძეს და მის თანამებრძოლთ დიდძალი იარაღი აჯანყებული აფხაზეთისთვის ამ გზით შემოუტანიათ.

ჩემო ახალო სოფელო! რევოლუციური წარსულის მქადაგებლად, სწორედ იქ, სადაც სერგომ მიწაზე ფეხი დადგა, ქანდაკება დაგიდგამს. მრავალ წელსა და ჟამთა სვლას გაუძლებს ქვაში გამოკვეთილი ვაჟკაცების სახეები. ზოგჯერ ქარიშხალი დაუბერავს, ზოგჯერ ზღვა ადიდდება და ტალღებსაც დაარტყამს. გმირობის ობელისკი კი მაინც იქნება და სალამით გააცილებს ზღვაში მიმავალ გემებს.

უფრო გვიან, ზღვიდან ასიოდ მეტრზე, აქა-იქ კანტიკუნტად ჩადგმულ აფხაზურ ქოხებს ქართველთა სამოსახლოები შეემატა, მოვიდნენ ქობროლაურიდან, ონიდან, ჩხოროწყუდან ვაკე ადგილის მაძიებლები, მოვიდნენ მთის სივიწროვით და უმოსავლობით შეწუხებულნი და ზღვის ჰაერი ღრმად შეისუნთქეს.

ქართული ოდა-სახლები წლების მანძილზე იმართებოდა წელში, კაცლის ხეებმა დაამშვენეს ეზოები, თონეებში პურის სუნი დატრიალდა, ახალმოსახლეობა იზეიმეს გოგობერიშვილებმა, მაისურაძეებმა, მეტრეველებმა, რეხვიაშვილებმა, ჩალაძეებმა, გაბელიებმა, აბშილავებმა.

დღეს 3100 მცხოვრებია სოფელში. მის ლამაზ, ხელისგულივით სწორ მიდამოში 635 კომლი სახლობს. 2 საშუალო სკოლა, საავადმყოფო, კლუბები, სამკითხველო, წყლის სადგურები, კარგი გზები სოფლის სიმდიდრეა.

თეთრწყალზე პირველი ჰესი გუდაუთის რაიონში, და ისიც საკუთარი სახსრებით, ახალსოფლელებმა ააშენეს.

სამი კოლმეურნეობის ბაზაზე დღეს ახალსოფელში ერთი მსხვილი კოლმეურნეობაა, რომელიც სერგო ორჯონიკიძის სახელს ატარებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარე დავით გოგობერიშვილი გახლავთ, სოციალისტური შრომის გმირი, არსენა ოძელაშვილის გარეგნობის ახალგაზრდა — მაღალი, მხარბეჭიანი, ქართული, ვაჟკაცური სახისა. მისი ჯან-ღონის პატრონს არ უჭირს ყოველდღიურად 200 ჰექტარი ვენახის შემოვლა, 25 ჰექტარი ბაღის მონახულება, 16 ჰექტარ ჩაის პლანტაციაში მისვლა, 20 ჰექტარი ბოსტნის დახედვა, მსხვილფეხა რქიანი საქონლის ფერმებში მისვლა. მარტო 280 ჰექტარზე მარცვალი უთესია კოლმეურნეობას. ვაზის სანერგე მეურნეობას და მეფუტკრეობას თავის ყურადღება სჭირდება. დილიდან დაღამებამდე თავმჯდომარეს იმდენი საქმე აქვს, რომ საკუთარზე ფიქრი აღარ ახსოვს. 1.220 კოლმეურნე შეხვედრას, რჩევას, დალაპარაკებას თხოულობს.

ასეა საზოგადოებრივ საქმეში თავჩარგული დავით გოგობერიშვილი.

რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, ყველგან ადამიანის შრომის ზეიმია, ფერმაშიც, ყანაშიც, ბოსტანშიც, ხეხილის ბაღებშიც.

მაგრამ ვენახი ცვ თვალს არ ენახება. შეიძლება უყურო და დატკბე, ისეთი ნამუშევარია, შრომის ისეთი ბეჭედი აზის ცოლიკაურს. ჩხავერს, კაჭიჭს და ყურძნის სხვა ჯიშებს.

1220 კოლმეურნიდან ნახევარი ქალები არიან და მე ვიცი, ისეთი ლამაზები არიან ეს ქალები, როგორიც მათი მოვლილი მტევნებია ვაზზე ასხმული. მთელ საქართველოში ყურძნის საჰექტარო მოსავალი ყველაზე მაღალი აქაურ კოლმეურნეობას აქვს. ჰექტარზე 150 ტონა საშუალოდ ბევრ გურჯაანელ კოლმეურნეს შეშურდება. გამოცდილების მისაღებად, მათი ვენახების სანახავად ვენახებით განთქმულ კახეთიდან ბევრჯერ ჩამოსულან მევენახეები გუდაუთის რაიონის ახალ სოფელში, დავით გოგობერიშვილთან. 1954 წლიდან დავითი კოლეურნეობას უდგას სათავეში და ყოველ წელიწადს იღებს ამგვარ სტუმრებს.

საუკეთესო ნიადაგობრივი პირობები, ყურძნის ჯიში, სწორი აგროტექნიკა, კარგი მოვლა არის ახალსოფლელ მევენახეთა გამარჯვების თავი და თავი.

შარშან კოლმეურნეობას გეგმით 1359 ტონა ყურძენი უნდა მიეღო, მაგრამ მოსავალი თითქმის ორჯერ მეტი მოვიდა. წელსაც ასეთივე მაღალი მოსავალი მიიღეს.

ყოველ წელიწადს გადაჭარბებით ასრულებენ კოლმეურნეები ჩაის, ბოსტნეულის, სიმინდის, რძის, მარცვლეულის, აბრეშუმის პარკის ჩაბარების გეგმებს.

შეძლებულად და წელგამართულად ცხოვრობენ ახალი სოფლის ადამიანები. კოლმეურნეობის ბრიგადირი საშუალოდ 120 მანეთს იღებს თვეში. თითოეული კოლმეურნის საშუალო შემოსავალი კაცდღეზე 7 მანეთია.

შარშან კოლმეურნეობის საერთო შემოსავალი 1 მილიონ 170 ათასი მანეთი იყო.

კეთილმოწყობილი და სანიმუშო ხდება სოფელი. შენდება ახალი საცხოვრებელი სახლები, ახალი სკოლის შენობა, საბავშვო ბაღის შენობა, გაიყვანეს მძლავრ წყალსადენს.

სასიხარულოა, რომ ასეთ მშრომელ ხალხს ასეთი კარგი სამოსახლო აქვს.

ბოსტანში ვნახე განთქმული მევენახე მარგალიტა გოგშელიძე, რომლის საშუალო წლიური შემოსავალი 1500 მანეთია. მისი მეუღლე, კოლმეურნეობის მერგოლეური კონსტანტინე შრომის წითელი დროშის ორდენს ატარებს, ქალიშვილი ლარისა კომკავშირელია და ვენახში მუშაობს.

თინა მაისურაძეს ბოსტნეულის კრეფისას მივუსწარი. წელს მან რეკორდი დაამყარა აბრეშუმის პარკის მოყვანაში.

ასეთი მუყაითი შრომა აძლევს თინას და მის ოჯახს დიდ შემოსავალს. გასულ წელს თინამ 2.000 მანეთი შეიტანა ოჯახში, 1 ტონამდე მხოლოდ სიმინდი მიიღო, 2.600 მანეთი ქმარმა შემოუმატა.

კოლმეურნეობის წარმატებები მშრომელმა ქალებმაც ამრავლეს. ესენი არიან: ანიკო გელენიძე, ვერა გაბელია, ეთერ ნაროუშვილი, ლილი გერსამია, ვალია ძაძამია, შურა ჩაკვეტაძე, ნორა სახურია, გოგუცა დოლბაძე.

გულით გაიხარებს, ვინც ნახავს ახალ სოფელს გუდაუთის რაიონში.

ლია კაკაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



გულრიფშის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მკრეფავი ლარისა დემიხოვა

# გულრიფში

მეურნეობის ახალგაზრდა მუშა ციალა გულუა



მეურნეობის მუშათა საცხოვრებელი სახლი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ლ. ნაზაძე

# ქალები მრეწველობაში

ერთ დროს ჩამორჩენილი, მეფის რუსეთის კოლონიად აღიარებული აფხაზეთი საბჭოთა ხელისუფლების წლებში, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მზრუნველობით გადაიქცა აყვავებულ, მოწინავე საბჭოთა ავტონომიურ სოციალისტურ რესპუბლიკად, და ქართველ ხალხთან ერთად, ერთიან ძმურ ოჯახში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია.

რევოლუციამდე აფხაზეთში მხოლოდ პრიმიტიული ტექნიკით აღჭურვილი, წვრილი კუსტარული სახელოსნოები იყო. არ ამუშავებდნენ ბუნებრივ სიმდიდრეებს. არ აშენებდნენ ქარხნებს ძვირფასი სამეურნეო ნედლეულის გადასამუშავებლად.

აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც ახორციელებდნენ ლენინის მითითებებს, დიდი მუშაობა გააჩაღეს მრეწველობის სოციალისტური გარდაქმნებისათვის, რესპუბლიკის ეკონომიური ჩამორჩენის დაძლევისათვის.

უკვე პირველ ხუთწლედში 4-ჯერ გაიზარდა სამრეწველო საწარმოთა რიცხვი, თითქმის 10-ჯერ გადიდდა სამრეწველო პროდუქციის წარმოება.

შემდგომი ხუთწლედების მანძილზე აფხაზეთში განვითარდა ქვანახშირის, ენერგეტიკის, ჩაის, თამბაქოს, ეთერზეთების, ღვინის, კონსერვების, მსუბუქი, სატყეო და სხვა სამრეწველო დარგები.

აშენდა ახალი ტექნიკით შეიარაღებული მსხვილი სამრეწველო დაწესებულებანი — ჩაისა და თამბაქოს ფაბრიკები, კონსერვებისა და თევზის ქარხნები, სამშენებლო მასალათა საწარმოები, მსხვილი სატყეო მეურნეობანი, ქიმიური ქარხანა, გაზის აპარატების ქარხანა, ხელსაწყოების ქარხანა, მანქანათსარემონტო ქარხანა, გემთსარემონტო ტექნიკური სადგური და სხვა.

ამგვარად, მოკლე დროში რესპუბლიკაში შეიქმნა თანამედროვე მოწინავე ინდუსტრია. 1969 წელს რესპუბლიკამ გამოუშვა 237 მილიონ 474 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია, რაც 1.271 ჯერ მეტია 1914 წელთან შედარებით და 240-ჯერ მეტი, ვიდრე პირველ საბჭოთა ხუთწლედში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში შეიქმნა 2 მსხვილი ინდუსტრიული ქალაქი — ტყვარჩელი, რომლის მრეწველობამ 1969 წელს მოგვცა 77 მილიონ 25 ათასი მანეთის პროდუქცია და სოხუმი, რომლის სამრეწველო საწარმოებმა გამოუშვეს 34 მილიონ 694 ათასი მანეთის პროდუქცია. მრეწველობა ვითარდება რესპუბლიკის სხვა ქალაქებშიც.

მრეწველობის განვითარებისა და სრულყოფისათვის მოპოვებულ წარმატებებში დიდი როლი ეკუთვნით ქალებს, ჩვენი რესპუბლიკის სახელოვან შვილებს, რომლებიც ღირსეულად აგრძელებენ პირველი მუშა ქალის ელისაბედ ხარბედიას ტრადიციებს.

აღდგენითი პერიოდისა და ხუთწლედების მანძილზე აფხაზეთის ქალები აქტიურად იბრძოდნენ სამრეწველო წარმოების გეგმების წარმატებით შესრულებისათვის. ბევრი მათგანი მთავრობის ჯილდოებითაც დაჯილდოვდა.

ჩვენ ვამაყობთ შრომის ვეტერანთა მიღწევებით. ბევრი ქალი კომუნისტური შრომის დამკვრელია. სოხუმის მე-2 სამკერვალო ფაბრიკაში მუშაობს კომუნისტური შრომის ქალთა ბრიგადა, რომელსაც სათავეში უდგას ოსტატი შუშა გოგია. ამ ბრიგადის 24-ვე წევრი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით, უშვებს მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციას. ბრიგადაში ყოველთვიური ნორმა 110-115 პროცენტით სრულდება.

„ტყვარჩელქვანახშირის" №3 შახტში კომუნისტური შრომის ბრიგადას ხელმძღვანელობს ლუბა ადამენკო. სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშა მერი აჩბა, რომელიც ნორმას 110 პროცენტით ასრულებს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია ანა ავიძბა, სოხუმის გაზის აპარატების ექსპერიმენტული ქარხნის მოწინავე მუშა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები არიან: სონია კაზანბა, სოხუმის მეორე სამკერვალო ფაბრიკის მუშა, თამარ ოთირბა, სოხუმხელსაწყოს ქარხნის ბრიგადირი, ლუბა ადამენკო, „ტყვარჩელქვანახშირის" № 3 შახტის ბრიგადირი.

13 მუშა ქალი, რომლებიც წარმატებით შრომობენ ავტონომიური რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

ამგვარად, ბევრი ქალი არა მარტო მოწინავე მუშაა, არამედ სახელმწიფოს მართვაშიც აქტიურად მონაწილეობს.

ჩვენ გვყავს ქალები, რომლებიც სათავეში უდგანან სამრეწველო საწარმოებს. მათ შორის არიან სოხუმის ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის ფაბრიკის დირექ-



სოხუმის გაზის აპარატების ექსპერიმენტული ქარხნის მოწინავე მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ანა ევიძე.

ტორი ცაკვა ხონელია, სოხუმის ქიმიური ქარხნის დირექტორის მოადგილე მუზა მოლოტოვა, ოჩამჩირის თამბაქოს ფაბრიკის დირექტორი ბაბუცა კვეკვესკირი, სოხუმის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი ზინა გიცბა და სხვები.

მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა პერსონალმა, სამრეწველო საწარმოთა მოსამსახურეებმა გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 24-ე ყრილობისა და საქართველოში და აფხაზეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავის შესახვედრად. მათ ვალდებულება აიღეს შეასრულონ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 1970 წლის 18 დეკემბრისათვის, წლის ბოლოს დამატებით მისცენ სამშობლოს 7,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, ორი თვის (იანვარ-თებერვლის) გეგმა შეასრულონ 1971 წლის 25 თებერვლისათვის. ამ პატრიოტულ საქმეში დიდ როლს ასრულებენ სამრეწველო საწარმოთა მშრომელი ქალები. ასე, მაგალითად, სოხუმის საქსოვი ფაბრიკის მქსოველმა, კომუნისტური შრომის დამკვრელმა ნელი მხითარიანმა ვალდებულება აიღო ორი თვით ადრე შეასრულოს წლიური გეგმა. იგი ყოველთვიურ გეგმას 118-120 პროცენტით ასრულებს. სოხუმის ტყავფეხსაცმლის კომბინატის მუშა ციალა კვიცინია ყოველთვიურ გეგმას 120-125 პროცენტით ასრულებს, „ტყვარჩელქვანახშირის" № 5 შახტის მუშამ მარო ჯალაღონიამ ივალდებულა 110-115 პროცენტით შეასრულოს ყოველთვიური გეგმა.

ეჭვი არ არის, რომ აფხაზეთის მრეწველობაში მომუშავე ქალები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ ღირსეულად შეხვდნენ საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა აფხაზეთის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს.

ლ. ნაზაძე,

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე.

ივანე თარბა

# ყველა დედაზე ლამაზი დედა

გავუწყენებივარ ოდესმე დედას?
აუწევია ოდესმე ყური?
ეს გრძნობა უფრო მიღვივებს სევდას,
სასაცილოა ეს საყვედური.
ბედნიერება მე არ მედროვა, —
ეს სიხარული ჩემთვის არ ელავს;
მე არ მყავს დედა,
მე უდედო ვარ,
ვისაც გყავთ —
ღმერთმა
გიცოცხლოთ ყველას!..

ვინ მისახსოვრა ეს ცა და მიწა? —
დედილომ!
დედუმ!
დედუკამ!
დედამ!
ჩემებრი დედა ვის ჰყავდა, ვის ჰყავს,
ანუ ვის ჰყავდეს ოდესმე ქვეყნად!

ხსოვნის ნაპირებს, —გამოღმაც, გაღმაც, —
გავხედავ —
თითქოს ეს იყო გუშინ...
„ნანად" ჩამესმის მისი ხმა ახლაც
და მეწვეთება თაფლივით სულში.

ჰა, ფაცი-ფუცით ოდაში შედის,
ჰა, ქათმებს უხმობს სამზადის უკან,
ო, რა თბილია ხელები დედის,
ო, რა ტკბილია ალალი ლუკმა.

სადაც არ უნდა წავიდე,
მუდამ —
დღეა თუ ღამე —
მის სახეს ვხედავ,
ჩემზე ლოცულობს და ჩემზე ზრუნავს,
ახლაც ეზოში ტრიალებს დედა.

ტანადიც იყო,
თვალადიც იყო,
ნათელს აფრქვევდა ღიმილით გზაზე,
მზის შუქი ედგა თვალებში თითქოს, —
სიკეთით ჰქონდა თვალები სავსე.

ო, უფალს უნდა შევწირო მადლი,
ო, ეს რა ხვედრი მარგუნა ბედმა:
მე დედა მყავდა ყველაზე კარგი, —
ყველა დედაზე ლამაზი დედა!

აფხაზურიდან თარგმნა
გივი ქნელაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეცნიერების სამსახურში

დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკთა ერთი მესამედი ქალები არიან. ისინი ნაყოფიერ შემოქმედებით შრომას ეწევიან. იკვლევენ ენათმეცნიერების, ლიტერატურის, ეკონომიკის, ეთნოგრაფიის, არქეოლოგიის აქტუალურ პრობლემებს.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ლილი აკაბა უკვე 15 წელია ინსტიტუტში მუშაობს. მას ეკუთვნის მთელი რიგი გამოკვლევები აფხაზთა მატერიალური და სულიერი კულტურის დარგში. ამჟამად გამოსაცემად მზადდება მისი მონოგრაფია „აფხაზთა რელიგიის სათავეებთან“, რაც ავტორის მრავალი წლის შემოქმედებითი შრომის ნაყოფია. ეს ნაშრომი საფუძველია ავტორის მომავალი სადოქტორო დისერტაციისა.

აფხაზთა ეთნოგრაფიის საკითხებს იკვლევს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ელენე მალია. მალე გამოვა მისი წიგნი „აფხაზთა ხალხური სახვითი ხელოვნება (ქსოვილები და ნაქარგი)“.

მთელი რიგი ნაშრომები ეკუთვნის თვითმყოფადი აფხაზური მუსიკალური კულტურის შესახებ ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ინესა ხაშბას, რომელიც უდროოდ გარდაიცვალა 1967 წელს. მისმა მონოგრაფიამ — „აფხაზური ხალხური მუსიკალური ინსტრუმენტები“ — სპეციალისტთა მაღალი შეფასება დაიმსახურა.

აფხაზეთის არქეოლოგიური კვლევის საკითხებით არის დაინტერესებული მირა ხოტელაშვილი.

ინსტიტუტის ეთნოგრაფისტთა რიგებს შემოუერთდა უმცროსი მეცნიერი მუშაკი ირინე ლადარია, რომელმაც დაამთავრა მიკლუხა-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურა ანთროპოლოგიის სპეციალობით.

თანამედროვე აფხაზური ენის გამოკვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატებს — ლიდა ჭკადუას და ვალენტინა კონჯარიას, უმცროს მეცნიერ მუშაკს — ნელი არშბას, რომლებმაც მაღალი კვალიფიკაცია მიიღეს ცნობილი ლინგვისტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ ქეთევან ლომთათიძის ხელმძღვანელობით.

ლიდა ჭკადუამ გამოაქვეყნა შრომები აფხაზური ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხებზე. უკვე დაიბეჭდა მისი ფუნდამენტური მონოგრაფია აფხაზურ-აბაზინურ დიალექტებზე.

ვალენტინა კონჯარიამ საინტერესო მუშაობა ჩაატარა აფხაზურ-აბაზინური დიალექტების ლექსიკის შედარებით შესწავლისათვის, ახლა კი კოლეგებთან ერთად წარმატებით მუშაობს აფხაზური სალიტერატურო ენის ლექსიკონის შესადგენად. ახალგაზრდა ენათმეცნიერი ნელი არშბა დაინტერესებულია ენის ნაკლებადშესწავლილი და რთული პრობლემებით — „აფხაზური აქცენტაციით“, მონაწილეობს ტერმინოლოგიური ლექსიკონის შედგენაში.

აფხაზური მხატვრული ლიტერატურის პრობლემებს შეისწავლიან ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატები ნინა ლაკობა და ინა კვიცინია. მალე გამოვა ნ. ლაკობას ნაშრომი „ს. ჩანბა — ცხოვრება და შემოქმედება“. ამჟამად ნინა პავლეს ასული სწავლობს აფხაზური პოეზიის ჩამოყალიბებისა და განვითარების პრობლემებს. ი. კვიცინია მუშაობს აფხაზურ ლიტერატურაში მოთხრობის ჟანრის განვითარების საკითხებზე. მას ეკუთვნის გამოჩენილი აფხაზი პროზაიკოსის ი. პაპასკირის შემოქმედების მონოგრაფიული გამოკვლევა, გამოქვეყნებული აქვს მეცნიერული სტატიები.

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნინელი ბუშინა და ამ წერილის ავტორი ვიკვლევთ აფხაზეთის ეკონომიკას. მიზნად ვისახავთ მისი განვითარების ტენდენციების ახსნას და რესპუბლიკის საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის გზების დასახვას. ნ. ბუშინა უშუალოდ სწავლობს მრეწველობის ეკონომიკას. ამჟამად ის ამუშავებს აფხაზეთის ჩაის მრეწველობის ძირითად ფონდებს და მათი გამოყენების გაუმჯობესების გზებს.

მე პირადად კი ვიკვლევ აფხაზეთის საკოლმეურნეო წარმოების ეკონომიკას, გამოქვეყნებული მაქვს ნაშრომები და სტატიები საკოლმეურნეო შემოსავლის განაწილების, დაგროვების, სპეციალიზაციის, კონცენტრაციის და საკოლმეურნეო წარმოების მატერიალური სტიმულირების საკითხებზე. მომავალი წლიდან შევუდგები მუშაობას ჩემთვის ძალზე საინტერესო თემაზე, რომელიც ითვალისწინებს საკოლმეურნეო წარმოებაში დაგროვების, მოხმარების და შრომის ნაყოფიერების ურთიერთდაკავშირებულ პრობლემებს.

ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებს დიდ დახმარებას უწევენ მუშაობაში ინსტიტუტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის გამგე ელენე მარღანია და მისი მოადგილე თინა აგრბა.

ჩვენი ინსტიტუტის ქალთა კოლექტივი ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას შესანიშნავად ათავსებს აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან. ისინი იმის ნათელ მაგალითს იძლევიან, თუ რა სახელოვანი გზა გაიარა ჩამორჩენიდან პროგრესისაკენ აფხაზმა ქალმა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ.

**ბელა აშუბა,**

ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი.

# აფხაზური დრამა



თეატრის დირექტორი და აფხაზური დრამის მთავარი რეჟისორი ნელი ეშბა

დ. ყოტევი — „ვენერას შემოსვა". სცენა სპექტაკლიდან



, იბსენი — „მოჩვენებები". ფრუ ალვინგი — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ა. აგუმავა. ოსვალდი — ვ. კოვე.





ე. რომბერი — „მარი — ოქტომბერი". მარი — ოქტომბერი — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული არტისტი ე. კოლონია.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზ. ჯინჭოლია. „რევოლუციის მხედრები".



მ. ედია. „ო. ბრეგვაძის პორტრეტი".



თ. ბრეგვაძე. „ნავები — ბათუმი".



ვ. ბუბნოვა. „პორტრეტი".



ვ. ივანბა. „კომკავშირელი გოგონა".

# აჭარის მხატვართა შემოქმედება



დრამატიული თეატრის შენობა

გ. ლორკა — „ბერნარდა ალბას სახლი“
სცენა სპექტაკლიდან



# ქართული დრამა



„ბერნარდა ალბას სახლი“ მარია ხოსეფა — საქართველოს სსრ დამსახურებული და აფხაზეთის ასსრ სახალხო არტისტი ნ. ციციანი. მარტირიო — თ ბაბლიძე

კ ბუაჩიძე — „მკაცრი ქალიშვილები“.
მუზა — აფხაზეთის ასსრ დამსახურებული
არტისტი ქ დოლიძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი კურორ-ტები ძველი ახალი და მომავალი



სოხუმის ნავსადგური

აფხაზეთი ძველთაგანვე განთქმულია თავისი კურორტებით. მსუბუქი, ზომიერად ნესტიანი ჰავა, მზიანი დღეების სიმრავლე, თბილი ზღვა, კასკადა ნაკადულები, მოლივლივე ტბები და უამრავი მინერალური წყლები, ყველაფერი ეს შერწყმული მდიდარ სუბტროპიკულ მცენარეთა სილამაზესთან, ზღვისა და მთის ლანდშაფტები — შესანიშნავ პირობებს ქმნის სრულყოფილი დასვენებისა და მკურნალობისათვის.

აქ, შედარებით პატარა ტერიტორიაზე, გვხვდება შესანიშნავი კლიმატური, კლიმატო-ბალნეოლოგიური, ბალნეოლოგიური და ბალნეო-კლიმატური კურორტები.

შავი ზღვის თვალწარმტაც სანაპიროზე მდებარეობენ ისეთი სახელგანთქმული საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტები როგორიცაა გაგრა, ბიჭვინთა, ახალი ათონი, ლესელიძე, გუდაუთა, გულრიფში და სხვ.

ზღვის სანაპირო კურორტებს ჩრდილოეთის ცივი ქარებიდან იცავს კავკასიონის ქიდითადი მასივი, რის გამო, აქ წლის ყოველ პერიოდში შეიძლება დასვენება და მკურნალობა.

კავკასიონის მთების აღმოსავლეთ ფერდობზე განლაგებულია საშუალო მთის კურორტები: ტყვარჩელი, წებელდა, სალხინო და სხვები. მაღალი მთის ზონაში კი — სახელგანთქმული საკურორტო რაიონი რიწაავადხარა — უამრავი მინერალური წყლებით, აგრეთვე, კურორტები ფსხუ, აძგარა და სხვანი.

აფხაზეთის შედარებით მცირე ტერიტორიაზე დღეისათვის გამოვლინებულია სხვადასხვა ქიმიური შემადგენლობის 250-ზე მეტი მინერალური წყალი.





გაგრა



გზა რიწისაკენ

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საკურორტო მშენებლობა აფხაზეთში სუსტად იყო განვითარებული. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე მან გრანდიოზული ხასიათი მიიღო. ძველი სამკურნალო კლიმატური სადგურები — გაგრა და გულრიფში შესანიშნავ, მთელი წლის განმავლობაში მოქმედ კურორტებად გადაიქცნენ. 1932 წელს ახალ ათონში გაიხსნა 300-ადგილიანი სანატორიუმი, სასტუმროები — „ყოეკვარა" და „კოლხიდა". ამჟამად ამ ულამაზეს კურორტზე არის ერთი სანატორიუმი, ორი პანსიონატი, შესანიშნავი დასასვენებელი სახლი — „ჩანჩქერი", პოლიკლინიკა საუცხოო სამკურნალო და სადიაგნოსტიკო კაბინეტებით.

გამშვენიერდა და გაფართოვდა კურორტი გაგრა, გაიხსნა ათეულობით სამკურნალო და დასასვენებელი დაწესებულება.

უკანასკნელ წლებში შავი ზღვის სანაპირო კურორტებზე ფართოდ გაიშალა პანსიონატების ქსელი.

თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე აფხაზეთის კურორტებზე მხოლოდ ოცამდე კერძო პრაქტიკის მქონე ექიმი მუშაობდა, ამჟამად მათი რიცხვი თითქმის ოთხასს აღემატება. მათ შორის არ შეიძლება არ დავასახელოთ გამოცდილი თერაპევტები: ქ. გარსიაშვილი, რ. გორგაძე, ნევროპათოლოგი ნ. კობახიძე, ფიზიოთერაპევტი ლ. ლუციკოვა, სანატორიუმების მთავარი ექიმები: რ. გიორგაძე, ნ. ხოშტარია, ტ. მირცხულავა და სხვები.

სამოციან წლებში განსაკუთრებული ადგილი დაეთმო ახალი საკურორტო კომპლექსის ბიჭვინთის შექმნას. ამ კურორტზე ერთდროულად ისვენებს 4.000 ადამიანი. კურორტი ბიჭვინთა თავისი შესანიშნავი ბუნებრივი მონაცემებითა და კეთილმოწყობით მსოფლიოს სახელგანთქმული საზღვაო კურორტების გვერდით მოიხსენება.

გარდა ამისა, მნიშვნელოვნად გაფართოვდა საკურორტო ზონა „რიწა-ავადხარა", ახალი ათონი, გუდაუთა, სოხუმი, აღმოცენდა ახალი კურორტები: კინდღი, გუდავა და სხვა. ამ უკანასკნელ წლებში თითქმის ყველა სანატორიუმი პროფილური გახდა, ამან გააუმჯობესა ავადმყოფთა სპეციალიზებული გამოკვლევა და მკურნალობა. ასე, მაგალითად, კურორტ გაგრაში უკვე რამდენიმე წელია „ჩელუსკინელების" სახელობის სანატორიუმში გულ-სისხლძარღვთა სისტემით დაავადებულებს მკურნალობენ. სანატორიუმები „რიწა" და „აფხაზეთი" გათვალისწინებულია უმთავრესად ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციური დაავადებით შეპყრობილთა სამკურნალოდ. ახალი ათონის სანატორიუმი „აფხაზეთი" გულით დაავადებულთათვის არის განკუთვნილი, ხოლო გუდაუთის სანატორიუმები — საჭმლის მომნელებელი ორგანოების არასპეციფიკურ დაავადებათა სამკურნალოდ.

აფხაზეთის კურორტული ფაქტორების ზემოქმედების შესწავლის ცენტრი არის საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალი, რომელსაც პროფესორი ა. გრიგოლია ხელმძღვანელობს. ფილიალის მეცნიერი თანამშრომლები ათეული წლების მანძილზე ღრმა მეცნიერულ საფუძველზე სწავლობენ ბუნებრივი ფაქტორების გავლენას ჯანმრთელ და დაავადებულ ადამიანებზე.

აფხაზეთში არის საშუალება და შესაძლებლობა კურორტების, დასასვენებელი ადგილების, ტურისტული ბაზების შემდგომი გაფართოებისა და მშენებლობისათვის. სწორედ ამიტომაა, რომ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიულ გეგმაში მთელი რიგი ღონისძიებებია შეტანილი ამ მიმართულებით.

მომავალში განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კურორტ გაგრას. სულ მოკლე ხანში მისი ტერიტორია სამჯერ გაიზრდება. აშენდება ახალი სანატორიუმები, სასტუმროები. ზღვის დონიდან 1600 მეტრზე, რიწა-ავადხარის რაიონში გათვალისწინებულია ტურისტული ბაზის — „გაგრა-ალპიურის" მოწყობა. გაგრაში გაიხსნება 900-ადგილიანი სასტუმრო — „ინტურისტი", 800-ადგილიანი პანსიონატი, ზღვის დახურული აუზი, საკურორტო პოლიკლინიკა და სხვა. კურორტ ლესელიძის ტერიტორიაზე გათვალისწინებულია 300-ადგილიანი საზაფხულო მინა-პლასტილინის ქალაქის მშენებლობა, კურორტ გუდაუთაში აშენდება 500-ადგილიანი დასასვენებელი სახლი, საკურორტო პოლიკლინიკა. გეგმით გათვალისწინებულია, აგრეთვე, სააბაზანო შენობისა და სანატორიუმის მშენებლობა კურორტ ავადხარაზე, რაც ხელს შეუწყობს ამ შესანიშნავი კურორტის მდიდარი ბუნებრივი ფაქტორების სრულყოფილ გამოყენებას. გადაწყდა 500-ადგილიანი სანატორიუმის მშენებლობა სოხუმის მინერალური წყლების ბაზაზე მდინარე ბესლეთის რაიონში.

გარდა ამისა, დიდი ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების კეთილმოწყობასა და შემდგომ განვითარებას. უახლოეს მომავალში ფილიალის მეცნიერი თანამშრომლების მიერ გათვალისწინებულია ჯერ კიდევ არასაკმაოდ შესწავლილი კლიმატო-პროცედურების (მზის აბაზანების, ზღვაში ბანაობის) ზემოქმედება ინფარქტგადატანილ ავადმყოფებზე. აქვე უნდა ითქვას, რომ მიოკარდიუმის ინფარქტგადატანილი ავადმყოფების მკურნალობა ჩვენს კურორტებზე შესაძლებელი გახდა მხოლოდ **ჩვენს** ფილიალში ჩატარებული სამეცნიერო მუშაობის საფუძველზე. სპეციალური გამოკვლევები ჩატარდება მთის კლიმატის გავლენის შესასწავლად უმაღლეს ნერვულ მოქმედებაზე.

აი, მოკლედ, როგორი იქნება ჩვენი კურორტების უახლოესი მომავალი.

**პროფესორი ნინო მგელაძე,**
საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის კლინიკური ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯუმა ახუბა

# ალაბაშა

მოთხრობა

მხატვარი ლია სვანიძე

კიდევ რომელი შემოინახა მეხსიერებამ იმ ბედნიერ დღეთაგან? მალიმალ ჩამესმის მდინარე კოდორის ხან ხმამაღალი, ხანაც მინელებული ხმაური. თვალწინ დამიდგებიან მთები, საიდანაც იგი მოედინება. სწორედ ის მთები, ახლო-ახლო რომ დგანან, და მწვერვალებს ბალახისფერი ადევთ. უკან ციცაბო, ფაცხის ჭერივით ჩამუქებული მთები მოჩანან. უფრო შორს კი უკაცრიელ, აჭიკის სანაყავ ქვასავით პირტიტველ მთათა მიღმა, ისევ მთებია და მთები.

ამ განუწყვეტელ ხმაურში, ამ დიდებულ სურათთა ფონზე, როგორც მშვენიერი სიზმარი — თვალწინ ნანდუ თაკუნა წარმომიდგება ხოლმე.

ჭიშკრიდან თავს გავყოფ, ქუჩას გავცქერი და ველი. ნანდუ, ალბათ, უკვე წამოვიდა შინიდან. მისი სახლი ჩვენს მეზობლად დგას. გზა კი ჩვენი ჭიშკრის წინ გადის. გზაზე, ბუხარში დაგროვილ მჭვარტლივით სქელი მტვერი ადევს. გაოცებული ვუმზერ მომავალს. როცა ნანდუ მოემართება, გზაზე ბუღი არ დგება, თითქოს ბამბაზე მოაბიჯებდეს, ისე ეფლობა მტვერში ფეხი. მაგრამ მის შესახვედრად გავვარდები და ჩემი წვეტიანი წუღები ისეთ ბუღსააყენებს ხოლმე, ისეთი ბდღვირი ავარდება, თითქოს ქარბორბალას წამოექროლოს. სანამ ახლოს არ მივალ, ვერც ნანდუ თაკუნას სახეს ვხედავ და ვერც მის ფეხებს. მუქი კაბა მიწამდე დასთრევს. ზამთარზაფხულ შავი შალი ახვევია. ზამთარში ამბობს: ამ სიცივეში როგორ არ მოვიხურო შალიო. თუ ზაფხულში ჰკითხავს დედაჩემი, რად გინდა, რატომ არ მოიხდიო, უშფოთველად უპასუხებს: არაფერი ისე არ იცავს კაცს თაკარა მზისაგან, როგორც შალიო. აი, სწორედ ასევე არ იცილებს ალაბაშასაც. არ მახსოვს, რომ უალაბაშოდ მენახოს. თავის ეზოშიც კი, როცა ჭისკენ მიდის, მაშინაც ხელთა აქვს თავისი გრძელი, კაუჭა ალაბაშა.

მახსოვს, ყველაზე ძლიერ ამ ალაბაშასი მეშინოდა, თუმცა არასოდეს დაურტყამს, მხოლოდ მომიღერებდა ხოლმე, მაგრამ როგორც ჩემი მეგობრის — ტაჩის ბაბუა ედრასი ამბობს, ნანდუ თაკუნამ ძალზე გამეტებით ჩასცხო ალაბაშა კამეჩს. მართლაც ასე იყო თუ ბაბუამ შეთხზა ყოველივე, ვის ვკითხო ახლა? მაშინ კი ბაბუა ასე მომითხრობდა ამ ამბავს:

თურმე ნანდუ თაკუნას გალიცლიცებული ვედრო წამოეღო ჭიდან. ცხელოდა. კამეჩი ეზოში ბალახობდა, თვალი მოჰკრა ვედროში მოლივლივე წყალს და ნანდუს აედევნა. ქალმა დაუცაცხანა, გააგდო, მაგრამ კამეჩმა მაინც ჩაჰყო დრუნჩი ვედროში. სხვა რა გზა ჰქონდა ნანდუს? „აგრემც ძაღლებს დაუგლეჯიხარ! მაინც აღარაფრად ვარგა ეს წყალიო...“ — ჩაიბურტყუნა და ვედრო მიანება.

როცა კამეჩმა ვედრო დაცალა, საწყალმა ნანდუმ ხელმეორედ გასწია ჭისაკენ. რის ვაივაგლახით ამოიღო წყალი, ცალ ხელში თავისი განუყრელი ალაბაშა ეჭირა და ზედ ეყრდნობოდა, მეორეთი კი ვედრო მოჰქონდა. აივნამდე მისული არც კი იყო, რომ კამეჩი კვლავ წამოეწია, არც ახლა იღო ყურად წუევლა-კრულვა, და დრუნჩი კვლავ ჩაჰყო ვედროში. აი, სწორედ მაშინ მოხდა ის, რის გამოც პაპა ედრასი, სადაც კი არ უნდა შეხვედროდა თაკუნას, უსათუოდ გასცინებდა ხოლმე. გაცეცხლებულს წამით დაავიწყდა, რა მოხდებოდა, თუ საყრდენი გამოეცლებოდა, ორივე ხელით მოიქნია ალაბაშა და დასცხო კამეჩს. ნეტა რომელია მართალი, ის, რასაც ყვებიან, თუ, რასაც თვითონ ნანდუ ამბობს? როცა ნანდუ თაკუნას ეკითხებოდნენ, რა მოხდაო, იგი ასე ამბობდა: „როცა ალაბაშა ჩავცხე, კამეჩი შეტორტმანდა, მართალია, არ დაცემულა, მაგრამ ფეხზე ძლივს იდგაო.“ ბაბუა ედრასი სულ სხვას ჰყვებოდა. სამუშაოს შემდეგ გაბარჯღული ხის ჩრდილში დასასვენებლად შეიკრიბებოდა ხოლმე ხალხი და თუ ვინმე ახსენებდა ნანდუს, ბაბუა ედრასი მაშინვე დაუმატებდა:

— უფრთხილდი, არ გააბრაზო, თორემ შენც იმას დაგმართებს, რაც კამეჩს უყო.

ვინც ის ამბავი იცოდა, ესეც საკმარისი იყო, ვინც არა და, ბაბუას ჩაეკითხებოდა.

— მაინც რა უქნა კამეჩს?

ამ შეკითხვაზე ბაბუა ედრასის სახე გაებადრებოდა და, თითქოს პირველად ამბობსო, სულ თავიდან იწყებდა:

— შენ თაკუნას ნუ ეხუმრები,იცი, რა ძალღონის პატრონია?! აი, კამეჩმა როცა გააბრაზა, აიღო თავისი ალაბაშა და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა სთხლიშა!..

ამ ადგილამდე მისულ ბაბუა ედრასს, ნანდუ თაკუნა ეშმაკური ღიმილით გადახედავდა და სათქმელს არ დაასრულებინებდა:

— უჰ, აგრემც დღე არ გაგითენდეს. თვითონ ძლივს დახავხავებ, სხვებს კი მასხარად იგდებ...

აშკარად ჩანდა, რომ ნანდუს არა სწყინდა შეხუმრება.

— ძაღლებსაც დაუგლეჯია ის შენი კამეჩი! — გააგრძელებდა ამბავს ბაბუა ედრასი: — თითქოს გაქვავდა, ადგილიდან არც დაიძრა. თაკუნამ კი, ალაბაშა რომ მოიქნია, ნამეტანი მოუვიდა და დატორტმანდა...

— გაჩუმდი, გაჩუმდი! ისე ამბობ, თითქოს დაგენახოს, როგორ დავეცი.

ნანდუმ კარგად იცოდა, რასაც იტყოდა ბაბუა ედრასი. უნდოდა თვითონ დაესწრო, ბაბუა ედრასსაც ეს ეწადა.

— ხომ გაიგონეთ? მე ხომ არაფერი მითქვამს! თავისი პირით ამბობს ყველაფერს, — დაუმატებდა კმაყოფილი ბაბუა.

ნანდუ თაკუნა ხედავდა, რომ ვერას გააწყობდა. ყველა გულიანად იცინოდა. ახლა რაიმეს მიჩქმალვას აზრი აღარა ჰქონდა, და თვითონ გააგრძელებდა ხოლმე:

— ტყუილად ხომ არ ამბობენ, შენც იმათთან ერთად იცინე, ვისაც შენზე ეცინებაო. ჰოდა, თითქოს ბუზს ეკბინოს, კამეჩმა აინუნშიაც არ ჩააგდო ჩემი დარტყმა. ასე გასინჯეთ, დრუნჩი ვედროსათვის არც კი მოუცილებია. მე და ჩემი ალაბაშა თითქმის ერთდრო-

ეროვნული

ულად გავიშოტეთ მიწაზე. გავიხედე და რას ვხედავ, კამეჩი თავზე დამდგომია და დამცქერის, — იტყოდა ნანდუ და თვითონაც გულიანად გაიცინებდა.

ერთხელ, როცა მოხუცები კვლავაც თავდავიწყებით ჰყვებოდნენ ამ ამბავს, მე შორიახლოს ვიდექი და თვალყურს ვადევნებდი. სიცილით გული ვიჯერე, მაგრამ ამ მონაყოლზე სხვაგვარადაც გავიფიქრე იმ დღეს. მერე ეს ამბავიც და ისიც, რაც გავიფიქრე, ტაჩის ჩავუკაკლე.

მანამ გიამბობდეთ, თუ რა გადაწყვეტილება მივიღეთ დიდი თათბირის შემდეგ, ან როგორ გამოვიყენეთ იგი, იმ მომენტს დავუბრუნდეთ, საიდანაც ეს მოგონება დაიწყო...

— რას გავხარ! რა მოჩხუბარი ძაღლივით, აგბურძგვნია თმა! — — მითხრა ჭიშკართან მოსულმა ნანდუმ.

— ნანდუ, მე და ტაჩის ხომ გაგვიშვებ დღეს მდინარეზე?

— აღარ იშლი შენსას! ნეტავ რას აიჩემე!

ნანდუ თაკუნას იმდენად სძაგს კოდორი, მისი ნება რომ იყოს, უკანასკნელ წვეთამდე ამოაშრობდა. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მე და ტაჩიმ არამცთუ არ უნდა ვიბანაოთ მდინარეში, ახლოსაც კი არ უნდა მივეკაროთ, თორემ კოდორი ადიდდება, ნაპირებს გადმოლახავს, თავს დაგვატყდება და წაგვლეკავს.

— შიდგუა უკვე წავიდა? — დედაჩემის ამბავს მეკითხება ნანდუ.

— ამდგარიც არ ვიყავ, როცა წავიდა. დამიბარა, თუ ნანდუს მოსვლამდე ადექი, წაჰყევიო.

— ისაუზმე?

— ლომი და ყველი ვჭამე. უჰ, დილიდანვე რა სიცხე დაიჭირა!

— წამოდი! — ნანდუ ჭიშკარს კეტავს.

ჩვენ ტაჩისთან მივდივართ. ალბათ, ისიც ჩემი არ იყოს, ჭიშკართან გვიცდის, ანდა ჯერ არ ამდგარა. ერთხანს ტაჩის ბაღში თამაშით გავერთეთ, ნანდუ თაკუნა ჯირკზე იჯდა, თითისტარს ატრიალებდა და ძაფს ართავდა. დროდადრო კი გადმოგვხედავდა და შოგვაძახებდა:

— შორს არ წახვიდეთ! ხეზე ამძვრალები არ დაგინახოთ!

როცა ბაღში თამაში გვწყინდება, გორაკებისაკენ მივდივართ. ალაბაშას დანდობილი ნანდუ თაკუნაც უკან მოგვდევს.

რა გინდ ღრმა იყოს ადამიანის ნაკვალევი ქვიშის უდაბნოში, სადაც დღითა და ღამით ქარი დათარეშობს, მაინც წაიშლება. იქნებ ამასვე სჩადის დრო ადამიანის მეხსიერების მიმართ. მაგრამ დრომ რაც არ უნდა ქნას, ნანდუსთან დაკავშირებული ერთი შემთხვევა, ვისთანაც მინდორში სამუშაოდ გასული მშობლები გვტოვებდნენ ხოლმე, როგორც თეთრზე შავით ნაწერი, სამუდამოდ დამამახსოვრდა. ამის მიზეზი კი ალაბაშა იყო.

იმ დღეს განსაკუთრებით ცხელოდა. ასეთ დღეებს ნანდუ თაკუნასათვის ტანჯვის მეტი არაფერი მოჰქონდა. მე და ტაჩი ერთთავად იმას ვფიქრობდით, როგორმე თავი დაგვეძვრინა და კოდორზე გავქცეულიყავით. რაღას აღარ ვიგონებდით წადილის შესასრულებლად! კარგად ვიცოდით, რომ ნანდუ თაკუნას საშინლად ეშინოდა გველებისა. თვით სიტყვა გველსაც კი არასოდეს წარმოთქვამდა, მცურავიო, იტყოდა ხოლმე. მინდორში ვთამაშობდით თუ გზად მივდიოდით, ანაზდად მე და ტაჩი ერთმანეთს გადავხედავდით და ვითომ ძალზე შეშინებულები, აქეთ-იქით გადავხტებოდით.

— რა მოხდა! — წამოიძახებდა დამფრთხალი ნანდუ.

— აი, ამ წუთას გზაზე მცურავი გადასრიალდა!

— კინაღამ არ გვიკბინა!

— წავიდეთ, წავიდეთ აქედან! — მაშინვე მხარს იბრუნებდა ნანდუ და სხვა ადგილისაკენ მივყავდით.

მისთვის სულერთი იყო, გველის ნაკვალევს დაინახავდა თუ თვითონ გველს. გვიმრის ნორჩ ყლორტს შიგ ძირში მოვჭრიდით და მზეზე გასაჭკნობად დავდებდით, მერე თუთის ტოტს გავსხეპავდით, გვიმრას ბოლოზე მივაბამდით და იმ ბილიკებზე მივახოხიალებდით, საცა უნდა გაგვევლო. ეს ხაზები იმდენად ჰგავდა გველის ნაკვალევს, რომ თვითონაც გვჯეროდა გამოგონილისა. ამას ისე ოსტატურად ვახერხებდით, ნანდუს ერთხელაც არ შეჰპარვია ეჭვი. მივიყვანდით და ვუჩვენებდით ხოლმე ნაკვალევს.

— საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან იმ წყეულთა კვალია, მაგათი სინსილა კი გაწყდა! უთუოდ სიცხის ბრალია.

ამ ნაკვალევების წყალობით ნანდუს მდინარემდე გავიტყუებდით ხოლმე. იმ დღეს კი, ეშმაკობას მიგვიხვდა თუ რა იყო, „ნაკვალევებმა“ ვეღარ გვიშველა.

— დაიხრჩობით, — მოკლედ გვითხრა ნანდუმ.

საჩვენებელი თითი დაიჩერწყვა და თითისტარს მიუბრუნდა. როგორც კი გაპარვას დავაპირებდით, ალაბაშას მოგვიღერებდა და დაგვაშოშმინებდა. და აი, სწორედ მაშინ, ჩვენსკენ მუქარით მოღერებული ალაბაშის დანახვაზე, ბაბუა ედრასის ნაამბობი გამახსენდა — როგორ დასცხო კამეჩს ნანდუმ ალაბაშა, პირუტყვმა კი აინუნშიაც არ ჩააგდო ეს და ნება-ნება გამოცალა ვედრო. ნანდუ თაკუნამ ალაბაშა მიწაში ჩაასო და შემაღლებულ ადგილზე წამომჯდარი, მშვიდად განაგრძობდა ხელსაქმეს. როგორც დიდი საიდუმლო რამ, ტაჩის ჩურჩულით გავანდე ის, რაც გამახსენდა. ტაჩი ისე გაახარა ამან, თითქოს ეს ეს არის — მდინარეში გვებანაოს და გაგრილებულები კვლავ ნაპირს დავბრუნებოდით. მაგრამ მერე ყველაფერი დაწვრილებით განვიხილეთ და მივხვდით, რომ პირველი ნაწილი ამბისა, სადაც მოთხრობილი იყო, თუ როგორ დასცხო ნანდუ თაკუნამ ალაბაშა კამეჩს, ხოლო პირუტყვმა ეს დარტყმა აინუნშიაც არ ჩააგდო, არაფერში გამოგვადგებოდა. ჯერ ერთი, შეიძლება ნანდუ თაკუნამ არც თუ ისე გამეტებით დასცხო კამეჩს ალაბაშა, რადგან პაპანაქება სიცხეში კამეჩმა წყალი თუ არ დალია, ფეხებს გაფშეკს. პირუტყვის მოყვარულ ნანდუს კი, შეიძლება, ძალიანაც გაუხარდა წყალს დახარბებული პირუტყვის დანახვა და ალაბაშით მიეფერა. ჩვენ კი, აბა რა ვიცით, იქნებ სხვა დანარჩენი ბაბუა ედრასის შეთხზულია? გარდა ამისა, ნანდუს მართლაც შეეძლო დაერტყა კამეჩისათვის, ხოლო პირუტყვი არ განრძეულიყო. როგორც ბაბუა ედრასი ამბობს, თურმე კამეჩს იმდენად სქელი ტყავი აქვს, ამ ტყავისაგან შეკერილი წუღები მეცხვარეებსაც კი სამ წელიწადს უძლებსო. მე და ტაჩის კი აბა იმ სისქე კანი სადა გვაქვს.

ახლა ამბის მეორე ნაწილიც განვიხილეთ. ანაზდად ტაჩიმ თვალები დაკარკლა და შემომაცქერდა. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაც გამოსავალი იპოვა.

— ალაბაშა... — თქვა წამით ჩაფიქრებულმა ტაჩიმ. — უალაბაშოდ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს. კიდევაც რომ გამოგვიდგეს, ვერ დაგვეწევა, ხოლო სანამ ნანდუ ტყეს მიაღწევს და ახალ ჯოხს მოჭრის, ჩვენ მდინარეზე ჩავირბენთ, ვიბანავებთ და დავბრუნდებით კიდეც.

— მაგრამ ალაბაშა როგორ წავართვათ? გამოვგლიჯოთ და გავიქცეთ?

— ჩვენებს ეტყვის და მიგვბეგვავენ.

თუ როგორ უნდა მოვქცეულიყავით, ამჯერადაც ტაჩიმ მოიფიქრა. როლები დავინაწილეთ. ტაჩი მინდვრის ბოლოში გავიდა, ერთი ბლუჯა გვიმრის ყლორტები დაგლიჯა და მოიტანა. მე ხმელი ბალახი მოვაგროვე. იმ ადგილიდან ცოტა მოშორებით, სადაც ნანდუ თაკუნა იჯდა, მწვანე დაღმართი იწყებოდა. თუ სიმაღლიდან კენჭს გადააგდებდით, იგი მწვანეზე დაგორდებოდა და ბოლომდე დაუბრკოლებლად ჩაალწევდა. იქ კი ცივი, ტალღებაქოჩრილი კოდორი მიედინებოდა.

ტაჩიმ თავზე ხელები წაივლო და ზედ ხრამის პირზე ჩამოჯდა.

— რა მოგივიდა, შვილო? — ნანდუ წამოდგა და ნელი ნაბიჯით ტაჩისაკენ წავიდა. იგი არამცთუ ამჩნევდა ყოველივე იმას, რაც ჩვენ თავს იყო, არამედ მაშინაც კი, როცა მშობლებს შინ მივყავდით და იქ რამე შეგვემთხვეოდა, ნანდუ თაკუნამ მაინც ყველაფერი იცოდა. თითქოს სიზმარში ენახოს. როცა ნანდუ ტაჩის შეეხმიანა, იმან უფრო მოიავადმყოფა თავი. მალე ალაბაშას დანდობილი ნანდუ თაკუნა მოგვიახლოვდა.

— რა დაგემართა, შემოგევლე? — ცალი ხელი თავზე გადაუსვა ტაჩის, მეორეში კი ალაბაშა ეჭირა.

— ნანდუ, მზემ თავი გამიხურა, ქუდი გამიკეთე, — შეევედრა ტაჩი, თან მკერდზე მიეხუტა.

— ნანდუ, გვიმრისაგან გაუკეთეთ ქუდი, აი, ამ ბალახით შეჰკარით, — ვუთხარი და ბალახის ხმელი ღერაკები გავუწოდე.

ნანდუ თაკუნამ ალაბაშა გვერდზე მისდო და ქუდის გაკეთებას შეუდგა. მე ფერდობს გავხედე: „ცოტათი უნდა ვუბიძგო და თვითონ ჩაგორდება.“ ნანდუ თაკუნას ცხვირწინ დავუდექი, ალაბაშას ფეხი ვკარი, ისიც დაგორდა...

— ეს რა ჰქენი, პანჩა? — შეჰყვირა ტაჩიმ და თავქვე დაეშვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



11.308

— ნანდუ, შემთხვევით მომივიდა! — ვთქვი და პასუხს არც დავლოდებივარ, ტაჩის გამოვუძღექი.

— დაბრუნდით! კისერს მოიტეხთ! თავი დაანებეთ... ვაი, მე უბედურს! — გაიძახოდა ნანდუ თაკუნა.

ალაბაშა კი მიგორავდა. ბოლოს ზედ კოდორთან დაეცა. იქიდან ნანდუ თაკუნას ველარც ვხედავდით.

— ახლავე ამოგიტანთ, ნანდუუუ!

დღესაც ზამთარში, რაკი კოდორი გაიყინება, იწრიტება, გამჭვირვალე ხდება, ხოლო როგორც კი გაზაფხული დადგება, კვლავ გამოცოცხლდება, ფერს შეიცვლის, შეიმღვრევა, შუა ზაფხულში აქოჩრილი ტალღებით დიდრონ მორებს მოაქანებს, გაიშლება, ნაპირებს გადმოვა... მოშხუის მთებისა და ზღვის დამაკავშირებელი ძარღვი... ეს მდინარე კოდორი გახლავთ. მას აქეთ რამდენჯერმე იცვალა ზრო — ხან ერთ ნაპირს ეცემა, ჩახრამავს, და როცა დარწმუნდება, რომ ნაკვალევი ღრმად დააჩნია, გეზს იცვლის," შებრუნდება და ახლა ამ ნაპირს შეუტევს. ჩქარობს, მიედინება, მიღელავს... სადაც არ უნდა ვიყო და რამდენი წელიც არ უნდა გავიდეს, როგორც ნისლში გამოკვეთილი ბორცვი, ისე აღსდგება ხოლმე ჩემს თვალწინ ნანდუ თაკუნა და მისი ხმა როგორც ცისა და მიწის ძახილი, ისე ჩამესმის. ერთხანს წყენა ეტყობა ნანდუს ხმას, მერე თანდათან სითბო ეძალება... აი, უკანასკნელად ვდგევარ ნანდუ თაკუნას წინაშე, არ ვიცი, რა ვუთხრა. ღიმილით მიმზერს, გამშრალ ხელს ასწევს, ველარ მიწვდენს, წელში ვიხრები, იგი თმას მიწეწავს. თითქოს ეშინია, რომ არ დამავიწყდეს, ნელა, თვითოეული სიტყვის დამარცვლით მეუბნება:

— დაე, თქვენმა შვილიშვილებმა, შენი და ტაჩის შვილიშვილებმა, თქვენც მოგტაცოთ ალაბაშა!

აფხაზურიდან თარგმნა
ჯაბა ასათიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



საშუალო სკოლა

# დუ-რიფ-ში

ალბათ, ძნელად მოიძებნება ჩვენში ვინმე, დურიფშის სახელი რომ არ გაეგონოს. საქართველოში მილიონერი კოლმეურნეობა ბევრია, სოციალისტური შრომის გმირიც ბევრზე ბევრი, მაგრამ დურიფშის ნახვის სურვილი, რომ იტყვიან, გულში მქონდა ამოჭრილი.

არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ოთხი წლის წინ საქვეყნოდ დაიქუხა დურიფშის კოლმეურნეობამ, როცა ხუთწლიანი გეგმის დიდი გადაჭარბებით შესრულებისათვის ლენინის ორდენი მიიღო.

და არც იმიტომ, რომ საქართველოში ყველაზე სახელგანთქმული მექანიზატორები დურიფშელები არიან;

არც იმიტომ, რომ შარშან, კოლმეურნეთა თვითშემოქმედების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე ამ კოლმეურნეობის გუნდს ბადალი არ ჰყავდა...

თვით ამ სოფლის სახელიც — დურიფში — ჟღერადი და უცხო სახელი, ყოველ გაგონებაზე ჩემში მშვენიერ და გაურკვეველ ასოციაციებს იწვევდა და გზისკენ მეძახდა.

...გუდაუთში ჩასულმა მაშინვე ის ვიკითხე, რას ნიშნავს-მეთქი ეს სიტყვა აფხაზურად. წითელ მინდორსო, — ამიხსნეს. ის კი ველარ მიპასუხეს, წითელი მინდორი სოფელს რად ერქვა. ამას სოფელში მეტყვიან-მეთქი, ვიფიქრე ჩემთვის.

შუადღისას რაიონული ცენტრი დავტოვეთ და დურიფშისაკენ მიმავალ გზას დავადექით. აგვისტოს მიწურული იყო, ჩვენი ვილისი საზაფხულოდ იყო მოლიავებული და სახეში ნაზი ზღვაური გვცემდა. ჩვენ აღმა-აღმა მივდიოდით სიმწვანეში, სილურჯეში — გზის ორივე მხარეს ერთმანეთს მისდევდნენ უკიდეგანოდ გაშლილი ზურმუხტისფერი სერები — პლანტაციები, სიმინდის ყანები და ვენახები. ამ სივრცეზე ასევე უკიდეგანოდ გაშლილიყო საფირონისფერი ზეცა.

როცა მანქანა სოფელზე გაივლიდა, ღობეებს უკან, ეზოებში თეთრ-ვარდისფერ სახლებს ვხედავდით, მშვენიერ ორსართულიან ქვის სახლებს ფართო, მასიური კიბეებით, ქვის სვეტებიანი აივნებით, მოჩუქურთმებული სარკმლებით. სახლები ასლებივით ჰგავდნენ ერთმანეთს, — თითქმის ყველა ახალი აშენებული იყო. ახალი სახლის გვერდით ძველი ხის სახლი იყო მიკუნჭული და თუ ეზოში მხოლოდ ხის სახლი ჩანდა, იქ უსათუოდ საშენი მასალა იყო დახვავებული.



ადმინისტრაციული სახლი

სულ მალე უკან მოვიტოვეთ სოფელ ლიხნის თვალუწვდენი პლანტაციები და, აგერ, დურიფშიც!

— სამოციოდე წლის წინ აქ არავინ სახლობდა, — გვითხრა ჩვენმა გამყოლმა, — და მთელი ეს მიწა ლერწმის ტევრებით იყო დაფარული.

ისევ ის თეთრ-ვარდისფერი სახლები (ჩანს, აქაურებს ძალიან შეჰყვარებიათ ეს ხუროთმოძღვრული პროექტი), ისევ კოინდარით დაფარული ეზოები, ჭიშკრებთან — ვარდებისა და ჰორტენზიების მორევი.

კოლმეურნეობის კანტორის შენობას თვალი შორიდანვე ვკიდეთ. როცა მის პარმაღზე შევდექით, ფართო კიბეები ავიარეთ და უზარმაზარ დარბაზებში ამოვყავით თავი, სულ იმაზე ვფიქრობდი, როგორ არ უხდება სიტყვა „კანტორა" ამ სასახლეს-მეთქი. თავმჯდომარე — ივანე ტარკილი, ამ მხარეში მეტად პოპულარული და დაფასებული კაცი — შეუძლოდ ყოფილიყო და მასპინძლად პარტბიუროს მდივანი დაგვიხვდა. როცა ჩვენი ჩასვლის მიზეზი ავუხსენით, საშუალო ტანის, წითური კაცი გაიბადრა, ხალისით იკისრა ჩვენი მეგზურობა და, როგორც შემდეგში დავრწმუნდით, უკეთეს მეგზურს ვერც ინატრებდა კაცი.

გერასიმე თარბასთან საუბარი არ შეიძლება ვინმეს მობეზრდეს და არც მას ბეზრდება თავისი სოფლის ავ-კარგზე ლაპარაკი. სულ უბრალოდ, მეხსიერების დაუძაბავად ასახელებს კარგა მოზრდილ ციფრებს, როცა კოლმეურნეობის ეკონომიკის საკითხებს ეხება ან ცალკეული კომლის შრომით შემოსავალზე გიამბობს. საუბარი ყოფით ამბებზე რომ ჩამოვარდება, რომელიმე საუცხოო ანდაზას გეტყვის, გაგაცინებს, ჩაგაფიქრებს, კერძო შემთხვევას დიდებულად განაზოგადებს, ზოგადში კონკრეტულს დაგანახვებს.

ამასობაში ბლოკნოტის ფურცლები ჭრელ-ჭრელი ციფრებით გევსება, გონების თვალით ხედავ ყველაფერ იმას, რაზეც ეს კაცი და ამ სოფლის სხვა თავკაცები ოცნებობენ და, დარწმუნებული ხარ, ყველაფერი ისე მოეწყობა, როგორც ამ ხალხს სურს, — ამ სოფლის დღევანდელობაა ამის თავდები.

ახლა დურიფშის კოლმეურნეობის შემოსავალი მილიონ ცხრაას ათას მანეთს აღემატება. საკუთარი ხარჯით ააშენა კოლმეურნეობამ ეს ათასადგილიანი კულტურის სახლი, საშუალო, რვაწლიანი და დაწყებითი სკოლა, საუკეთესოდ აღჭურვილი 60-საწოლიანი საავადმყოფო, აფთიაქი, პურის საცხობი, სასადილო, აბანო, ორი წისქვილი. შეიძინა ორი სასწრაფო დახმარების მანქანა. მარტო ჩაის საკრეფი მანქანა — „საქართველო" ცხრა აქვს კოლმეურნეობას. აბა, 340 ჰექტარი ჩაის მოკრეფას ვინ აუთავდება, თუ ჰექტარზე 7 ტონა ჩაი მოდის!

მეურნეობაში მთავარი დარგებია სიმინდიც და ყურძენიც, მაგრამ კოლმეურნეობას შემოსავლის 90 პროცენტს ჩაი აძლევს.

ჩაის პლანტაციები, რა თქმა უნდა, ქალებს ეკუთვნის. მამაკაცები უფრო სიმინდისა და ვენახის მოვლას უნდებიან. და ამიტომ ისე გამოდის, რომ საოჯახო ბიუჯეტშიც, შესაბამისად, ქალს გაცილებით მეტი შეაქვს, უფრო რომ დავაზუსტოთ — 70 პროცენტი.

განა რომელიმე ვაჟკაცს ჩამოუვარდებიან სვეტლანა აგრბა, ვერა არძინბა, ფროსია ბეშიძე, სოფიო საკანია, ნაზიკო

რეხვიაშვილი, ფენია ძგუა, ლერა ხაბა-ტოვა ან ალექსანდრა კაჩუროვა?

მათი ხელხვავიანი შრომის მადლი კოლმეურნეობასაც ატყვია და საკუთარ ოჯახსაც.

სამოც ოჯახს ეზოში საკუთარი მანქანა უყენია. მანქანის რიგში კიდევ ბევრი დგას. ის ლამაზი სახლები, ქუჩიდან რომ თვალს გვტაცებდა, შიგნითაც არანაკლებ იყო დამშვენებული ძვირფასი ავეჯით. სოფელში ექვსასამდე კომლია და თითქმის არ არის ოჯახი, გაზი, ტელევიზორი და მაცივარი რომ არ ჰქონდეს.

ან რა ჩაცმულ-დახურული გამოდის ხალხი საღამოობით ამ სახლებიდან! კლუბში ყოველ საღამოს არის კინოფილმი, ლექცია-მოხსენება, კონცერტი.

ამ სოფლის ინტელიგენცია ქალაქისას არაფრით ჩამოუვარდება. ორმოცდაათზე მეტი უმაღლესდამთავრებული ცხოვრობს დურიფშში, ერთი ამდენი კიდევ ახლა სწავლობს.

— იყო დრო, რომ სოფლის მწერალსაც ვერ ვზოულობდით, — გვითხრა გერასიმე თარბამ.

თვით კოლმეურნეობაა დაინტერესებული იმით, რომ რაც შეიძლება მეტი უმაღლესდამთავრებული, საკუთარი სპეციალისტი ჰყავდეს. ამიტომ, რაც შეუძლია, ხელს უმართავს უმაღლესში შემსვლელთ. ოცამდე ახალგაზრდას კოლმეურნეობამ სტიპენდია დაუნიშნა და უმაღლესი ისე დაამთავრებინა. ბევრი მათგანი უკვე დაუბრუნდა სოფელს: განა იმას კითხვა უნდა, რა მადლიერი არიან ეს ახალგაზრდები თავისი სოფლის, როგორ ცდილობენ, ვალში არ დარჩნენ?

დურიფშის კოლმეურნეობაში შრომა სახალისო უნდა იყოს: აქ ადამიანთა საკეთილდღეოდ ბევრი რამ გაკეთდა. აგერ, აბანო ააშენეს — უფასოდ ისარგებლეთ, გაამოთ! წისქვილები აშენდა — მინდს არავინ გთხოვთ, დაფქვით, შეგერგოთ!

წელს, ვ. ი. ლენინის საიუბილეო დღეებში კოლმეურნეთა საერთო კრებაზე გამგეობამ წინადადება წამოაყენა, ყველა კოლმეურნის ოჯახს ელექტროენერგიაც უფასოდ — კოლმეურნეობის ხარჯზე მიეცესო.

ამ წინადადებას დიდი სიხარულით შეხვდნენ, განა მხოლოდ იმიტომ, რომ თვეში რამდენიმე მანეთი დაეზოგებათ? აქ მატერიალური მხარე არ უნდა იყოს მთავარი. უფასო წისქვილი, უფასო აბანო და უფასო ელექტროენერგია — ეს ყველაფერი დურიფშელებს თითქოს მომავლიდან გადმოაქვთ დღევანდელობაში, იმ საოცნებო მომავლიდან, რომელსაც კომუნიზმი ჰქვია.

კოლმეურნეობის მიერ წამოყენებულ წინადადებას აფხაზეთის საოლქო კომიტეტშიც დაუჭირეს მხარი. ახლა საკითხი სამინისტროში დგას და დურიფშელებს იმედი აქვთ, რომ დადებითად უნდა გადაწყდეს.

დურიფშელ ქალებს კი იმის იმედიც აქვთ, რომ რაიონის საკოლმეურნეობათაშორისო მშენებლობის სამმართველო თავს მოაბამს დურიფშში 240-ადგილიანი ბაგა-ბაღის მშენებლობას, რომლის პროექტიც, რახანია, კოლმეურნეობამ შეუკვეთა.

ყურთამდე გაღლო კარი ახალ ცხოვრებას აფხაზურმა სოფელმა. მაგრამ არც ძველი ტრადიციები დაივიწყა. რა დიდებულად საქმიანობს სასოფლო საბჭოსთან შექმნილი უხუცესთა საბჭო, რომელშიც სოფელში ყველაზე პატივსაცემი თერთმეტი მოხუცი აურჩევიათ.

რა საკითხზე არ უხდება საბჭოს მსჯელობა!

ქალიშვილმა შეყვარებულს უარი უთხრა: ვაჟი ლამის დარდს გადაჰყვეს, დარდობს, გაგარეულდა. ვინ უნდა მოარიგოს შეყვარებულები? — უხუცესთა საბჭომ.

მეზობლები წალაპარაკდნენ — ჩემი ბოსტანი შენმა ქათმებმა რად მოკენკესო. აყვნენ და აყვნენ, გუშინდელი მეგობრები დღეს ერთმანეთს ხმას აღარ სცემენ. ვინ შეარიგოს? — უხუცესთა საბჭომ.

თუ სოფელში ვინმე ზარმაცობს და ყანაში მუშაობის ნაცვლად ქალაქის ბაზრებში ათენ-აღამებს, ვინ უნდა გაკიცხოს? — უხუცესთა საბჭომ.

ჰოდა, ეს საბჭოც გმობს, კიცხავს, ნამუსზე აგდებს, უყვავებს. ოთხმოცდაათი წლის ხგუ გუმბა დამნაშავეს ხან მამა-პაპათა ხსოვნის შებღალვას აყვედრის, ხან კომუნისტურ მორალსა და ეთიკას შეაგონებს. ისე წყალწაღებული როგორ იქნება კაცი, უხუცესთა საბჭოს რომ არ გაუგონოს!

— აჰ, ჩვენთან ჯერ ეს არ მომხდარა! — ამბობს მოხუცების წინამძღოლი.

ხგუ გუმბა ოპტიმისტია. ამ ქვეყანაზე მას ბევრი უნახავს და იცის, რომ სიკეთე ბოროტს მუდამ ძლევს, რომ ყველა დაბრკოლება გადილახება და ყველა იმედი ფრთას შეისხამს, როცა სოფელი ღონიერია და ხალხი ერთი მიზნისაკენ მიდის.

...ბინდდებოდა, დურიფშიდან რომ გამოვემგზავრეთ. მოსახვევიდან ერთხელ კიდევ ამოვხედე და მხოლოდ მაშინ გამახსენდა, რომ დამავიწყდა მეკითხა — „წითელი მინდორი“ რად შეარქვეს-მეთქი, მოვდიოდი და ვფიქრობდი: იქნებ, აქ რომ პირველი მოსახლე ამოვიდა, მაისი იდგა და ამ მინდვრებზე ყაყაჩოებს გაჰქონდათ ღაღანი... ან, იქნებ, იმ ვიღაც მადლიანმა ამ ფერდობებს პირველად მაშინ შეხედა, ჩამავალი მზის სხივები რომ ეფინა.

და ხელახლა წამეკიდა ცნობის წადილი. მანქანა მომებრუნებინა და მეკითხა? ესეც ვეღარ შევძელი. არა უშავს, — დავიმშვიდე თავი, — სხვა დროს გავიგებ. იქნებ, ერთხელ კიდევ მომიხდეს ამ სოფელში ამოსვლა. ჰოდა, ამოვალ და გავიგებ.

არ შეიძლება არ ამოვიდე.

**ნანული ბარათაშვილი**



ჭელი თარბა

# საქართველო

შენ ხარ კეთილი, შენ ხარ მაღალი,
მტევნებდასხმული ვაზი ბრიალა,
ნაზიც, ლომგულიც, შენ ხარ ჩონგური,
ხალხმა სიცოცხლედ რომ გაწკრიალა.

მარგო რუსთველი, შოთა რუსთველი
კმაროდა, ალბათ, შენს სადიდებლად,
მაგრამ შენს ცაზე
კვლავ სხვა ვარსკვლავთა
ახალ-ახალი გუნდი ბრწყინდება,
დიდება შენდა, გმირთა მშობელო,
სინათლის წყაროვ, დაუშრობელო,
მხარზე მზე მტრედად რომ გაფრინდება,
დიდება მითქვამს, შენი დიდება!

მთაწმინდა — გულის ფიქრის ფიალა,
ალსავსე შენი სულის ნათელით,
კვლავ წმინდად იწვის, როგორც სანთელი.
შენს სიყვარულში ღამენათევი,

მე შენი ცეცხლის სხივზეც გავთბები.
მამლერა შენი დროშის ფრიალმა,
ილიას სიბრძნის ზარის ზრიალმა,
აკაკის ჩანგის ტკბილმა წკრიალმა,
ტატოს ჩინარის ნაზმა შრიალმა, —
სანთლად ინთება შენი დიდება —
მთაწმინდა — გულის ფიქრის ფიალა...

ვარ სიყვარულის კეთილი ტალღა,
სხვა ჩემზე ლაღი არც მეგულება, —
მე აფხაზეთმა მასწავლა ახლა
შენდამი ტრფობაც და ერთგულებაც.

მზე — ოქროს ჭალი, ბაღი — დარბაზი,
შენს დიდ ზეიმზე გვიხმობს, გვეძახის.
შენ ხარ კეთილი, შენ ხარ ლამაზი,
მტევნებდასხმული შენ ხარ ვენახი!

თარგმნა მორის ფოცხიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა





# მაიმუნების სანაშენე



მაიმუნების სანაშენე კი არა მთელი ქალაქია, სადაც ადამიანის ყველაზე მონათესავე ცხოველების 2000 ოჯახი ცხოვრობს. ეს სასაცილო, საყვარელი ქმნილებანი, რომელთაც საოცრად ჭკვიანი მზერა და მეტად მოქნილი, მგრძნობიარე თითები აქვთ, ისე გიზიდავთ, რომ საათობით შეგიძლიათ იდგეთ და უყუროთ.

უკვე 43-ე წელია რაც საათების, თვეების, წლების მანძილზე აკვირდებიან მათ საბჭოთა კავშირის სამედიცინო აკადემიის ექსპერიმენტალური პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები. აკვირდებიან მეცნიერის თვალით, ფიქრობენ, ეძებენ ადამიანის მრავალი დაავადების თავიდან აცილებისა და მკურნალობის გზებს. ასეთებია, მაგალითად. ლეიკოზი, გულსისხლძარღვთა, ონკოლოგიური და სხვა დაავადებანი. ინსტიტუტის თანამშრომლებიც თავიანთი დაკვირვებებისათვის იყენებენ სხვადასხვა ჯიშის მაიმუნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ადამიანთა ჯანმრთელობის სადარაჯოზე

— ყველაფერი იმის ჩამოთვლა, რაც ჩვენში გაკეთდა ჯანმრთელობის დაცვის დარგში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, — სთქვა აფხაზეთის ასსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ ლუდმილა ლაბახუამ. — ამას ტომები დასჭირდებოდა. ამიტომ, ჯობს ციფრებით ვილაპარაკოთ. ამ ციფრებს, ვფიქრობთ, განმარტება არ დასჭირდება.

ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის განვითარებას, პირველ რიგში, სპეციალისტების რაოდენობით განსაზღვრავენ. 1922 წელს მთელ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში რამდენიმე ექიმი იყო. დღეს მუშაობს 1.200 ექიმი, აქედან 680 ქალია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საავადმყოფოებში საწოლთა რაოდენობა 40,9-ჯერ გაიზარდა, ექიმ-სპეციალისტების რიცხვი — 156-ჯერ, საშუალო მედპერსონალისა — 178-ჯერ.

დღევანდელ აფხაზეთში 71 სამკურნალო დაწესებულებაა 4000 საწოლით, 15 სპეციალიზებული დისპანსერი, 100-ზე მეტი საექიმო ამბულატორია, 130 სამეანო-საფერშლო პუნქტი, 158 აფთიაქი.

ძირეული ცვლილებები განიცადა სოფლის ჯანდაცვამ. ჩვენს რაიონულ ცენტრებში საშუალოდ 30-მდე სხვადასხვა სპეციალობის ექიმი მუშაობს. რაიონული საავადმყოფოები აღჭურვილი არიან რენტგენის დანადგარებით, აქვთ კლინიკურ-დიაგნოსტიკური ლაბორატორიები, ფიზიო-თერაპიული განყოფილებანი, ელექტროკარდიოგრაფიის, სადიაგნოსტიკო და სამკურნალო კაბინეტები. ახლა ჩვენში აღარ არის სოფელი, სამედიცინო პუნქტი რომ არ ჰქონდეს.

მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი ზრდისა და სანიტარულ-პროფილაქტიკური სამსახურის განვითარების შედეგად, მკვეთრად გაიზარდა ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლიობა და, საშუალოდ, 72-73 წელს მიაღწია.

განსაკუთრებული მზრუნველობითაა გარემოცული მოზარდი თაობა. დიდი ლენინი ბავშვებში ერისა და ქვეყნის მომავალს, მის სიმდიდრეს ხედავდა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ბავშვთა ავადობამ უკანასკნელი 10 წლის მანძილზე თითქმის სამჯერ იკლო. დღეს ავტონომიურ რესპუბლიკაში 51 ბავშვთა სამკურნალო დაწესებულებაა.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება. ეს ექიმთა რიგების გაზრდასაც გამოიწვევს. ჩვენ ვვარაუდობთ, რომ აფხაზეთში ექიმთა რაოდენობა 16 პროცენტით გაიზრდება, საშუალო მედპერსონალისა — 18 პროცენტით.

თავდაუზოგავად მუშაობენ ჩვენი ჯანდაცვის მუშაკები ქალაქებშიც და სოფლებშიც. მათი ღვაწლი პარტიამ და ხელისუფლებამ ჯეროვნად დააფასა. 60 ექიმი, მათ შორის — 18 ქალი, დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 12 ქალს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის წოდება, ხოლი 47 ქალი აფხაზეთის ასსრ დამსახურებული ექიმია.

დღეს, საერთოდ, წარმოუდგენელია საბჭოთა ჯანდაცვა ქალების მონაწილეობის გარეშე. აფხაზეთის ექიმთა 70 პროცენტს ქალები შეადგენენ. ქალი, მისთვის ჩვეული სინაზით, გულითადობითა და სხვისი სატანჯველის გაზიარების უნარით, ბუნებას თითქოს იმისთვის შეუქმნია, რომ ადამიანის სატკივარს სალბუნი დაადოს.

დიდი სიყვარულითა და მადლიერებით გრძნობით ვახსენებთ ხოლმე, ჩვენ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში მომუშავე ენთუზიასტებს. პირველი აფხაზი ქალი — ქირურგი დ. ეშბა დღესაც მუშაობს და თავის ცოდნასა და გამოცდილებას გადასცემს ახალგაზრდებს. 40 წელზე მეტი შესწირა ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის საქმეს საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა ე. შევალიემ.

ნაყოფიერად იღწვიან ექიმი ქალები: ე. ლაკობა, ნ. სეკლენკოვა, ა. ასეევა, მ. ცეცხლაძე, მ. დელბა, ტ. წულუკიძე და სხვანი.

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატები: გ. კარალ-ოღლი, ქ. ბერია, ა. ბოხუა და პ. ჩაკვეტაძე სამეცნიერო მოღვაწეობას მშვენივრად უთავსებენ საექიმო პრაქტიკას, ბავშვების აღზრდასა და საზოგადოებრივ მუშაობას.

მრავლად გვყავს შესანიშნავი ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოვებული ექიმი ქალები, როგორიც არიან: ვ. კოლბაია, — სოხუმის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი, ლ. ბოჭგუა — სოხუმის ქალთა კონსულტაციის გამგე, ლ. გიცბა — სოხუმის სამშობიარო სახლის განყოფილების გამგე, ზ. ფანცულაია — სპეცსამკურნალო სექტორის საავადმყოფოს მთავარი ექიმი, ვ. ჩაჩბა — გაგრის რაიონული საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილე, ა. კაცია — სოხუმის ბავშვთა საავადმყოფოს მთავარი ექიმი.

იმ წარმატებებში, რომელსაც აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ მიაღწია საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლის მანძილზე დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენი მედიცინის მუშაკებმა.

შოთა აკობია

## უკანასკნელი მეუნაგირე

ბევრჯერ მოხატა ღვედი ვარსკვლავით,
თასმებს დასწნავდა — ქარვის ბაგირებს..
ახლა ხელობას არვის ასწავლის
უკანასკნელი მეუნაგირე.

წინათ მოცლილად ვინმე ნახავდა?
მუდამ დაზგაზე იყო დახრილი;
წმინდა გიორგი კეხზე დახატა,
ხელში მიართვა ელვის მახვილი.

ცხრაას ჩვიდმეტმა როცა იხუვლა,
როცა დროშებმა შეინავარდეს,
გაიღიმა და ასე იხუმრა:
ჩემი ნისია შერჩათ თავადებს!

სადაც ყოფილა დოღი, თარჩია,
მისი სახელიც გაუგონიათ.
ახლა შეგირდი არ გააჩნია,
თავი უშვილო კაცი ჰგონია.

ყავლი გასვლია რჩეულ ხელობას,
ზის, კრიალოსანს მარცვლავს მდუმარი.
წინათ, როდესაც მუშტარს ელოდა,
მუშტრად მიაჩნდა ყველა სტუმარი.

ზის და იგონებს იმ დროს, როდესაც
იყო ყმაწვილი, იყო არწივი...
და მეჩვენება, ტირის მოხუცი
მზეში დარჩენილ თოვლის კაცივით.

ეთერ სამხარაძე-ჯღამაძე

## ვენაცვალე

შორს ჰორიზონტზე აშოლტილ ხეებს,
შენს უნისლო და უღრუბლო დღეებს...
მაგ სამეგობროდ გამოწვდილ ხელებს,
ხრამში ჩაკარგულ ფიქრიან ღელეს...
შენს ლურჯ სივრცეში გაფანტულ ფერებს,
უმწვანეს თხემლებს და ლერწმის ღერებს,
სულს ანაჩქროლებს, გულს ანამღერებს,
კლდის ქიმზე კენტად გადმომდგარ მოცხარს,
დრუბელს ჩამომჯდარს მზის სხივზე მორცხვად...
მთების გულიდან მოხეთქილ ჩანჩქერს
და გულში დამლაღ ჩარჩენილ სათქმელს...
შენი მზეთამზის ვარდისფერ ბაგეს,
ასიათასი ოცნებით ნაქებს...
თბილ ბუდეს ოქროს ნისკარტით ნაგებს,
სიოს შეპარულს ჯეჯილში განგებ...
შენს ცას უძიროს, თვალებს უძილოს,
ფიქრების ხანძრით გადამწვარ ღამეს...
შენს გიუმაჟ ქარებს, შენს მზიან დარებს,
შენს საუცხოო მზესა და მთვარეს,
შენს ჩონგურებს და ნაზხმიან თარებს,
შენს ხმლებს, წინაპართ ოცნებით ნალესს...
თვალებს, შვლის ნუკრის ნაღვლიან თვალებს,
ირმის ყელივით დახატულ მთაველს,
მე ვენაცვალე...



# საკოლმეურნეო წარმოების ხელმძღვანელი

დილას კოკისპირულად წვიმდა. მხოლოდ შუადღეს გამოიდარა ცოტათი. ნაწვიმარ გზაზე ფრთხილად მიჰყავს მანქანა მძღოლს.

— ახლა თაგილონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობის ტერიტორიაზე ვართ, — ამბობს იგი.

გზისპირთან ჯარისკაცის ქანდაკება დგას. ჯარისკაცს იარაღი დაბლა დაუხრია, ნაღვლიანია. ეტყობა, დარდობს მსხვერპლზე, რომელიც შეეწირა ომს; ქანდაკების გვერდით, დაფაზე შინმოუსვლელთა სურათებია სახელებით და გვარებით.

ამ ქანდაკებისა და მემორიალის დადგმაში დიდი დამსახურება მიუძღვის მას, ვისთანაც მივდივართ, იგი რამდენიმე წელი მუშაობდა აქაურ კოლმეურნეობაში თავმჯდომარის მოადგილედ და პარტბიუროს მდივნად.

მანქანა კვლავ მიჰყვება ხრეშმოყრილ გზას. გზას ენგურის პატარა ტოტი მიაცილებს შავი ზღვისაკენ. გზის პირას სპილოს მუხლის სიმსხო წყალსადენი მილები აწყვია.

როგორც გავიგე, მდინარე ენგურის კალაპოტის შეცვლის შემდეგ სოფელში ჭების უმრავლესობა დაშრება და ამიტომ მთის ანკარა წყალი გამოჰყავთ.

მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა და მაიშნა მოვედითო.

სადაჭიშკრიან, განიერ ეზოში ხის სამიოდე დაბალი შენობა დგას. მინდორზე ბლომად ყრია საშენი ბლოკი. ეტყობა, კაპიტალურ ნაგებობაზე ფიქრობს კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა.

ვიწრო დერეფანი, სადაც მე და მძღოლი შევდივართ, სამ თუ ოთხ ოთახს იერთებს: თავმჯდომარისა, პარტორგანიზაციის მდივნისა, ბიბლიოთეკისა...

კოლმეურნეობის თავმჯდომარე ეკატერინე ძაძუა ადგილზე დამხვდა. მას იმ მომენტში მივუსწარი, როცა ხანშიშესულ კოლმეურნე ქალს მიწით სარგებლობის კანონებს უხსნიდა.

— იშრომეთ, ერთგულად იშრომეთ და გულს არ დაგწყვეტთო, — დაარიგა თავმჯდომარემ კოლმეურნე ქალი.

კარი ახალგაზრდა კაცმა შემოაღო. იგი პარტბიუროს მდივანი ალიოშა შონიაა. ცოტა კიდევ და ერთი ახალგაზრდაც შემოვიდა. ეს კი კომუნისტი გენო შარიაა, კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი, სასოფლო საბჭოს დეპუტატი.

მე კმაყოფილი ვარ, რომ გავიცანი რაიონის სათაყვანებელი ადამიანი ეკატერინე ძაძუა, რომელმაც ადრე ბევრი რამ გააკეთა, როგორც პედაგოგმა და ახლა სა კოლმეურნეო წარმოებას ხელმძღვანელობს.

...1931 წელს ეკატერინემ გალის ცხრაწლიანი სკოლა დაამთავრა და იქვე დასტოვეს მასწავლებლად;

1937 წელს იგი სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე შევიდა, რომლის დამთავრების შემდეგ პედაგოგის დიპლომით დაუბრუნდა მშობლიურ სოფელს. ომის წლებში ეკატერინე თაგილონის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეა. ომის დამთავრების შემდეგ კვლავ პედაგოგიურ მუშაობას უბრუნდება. 1960 წლიდან 1969 წლამდე მუშაობდა თაგილონის ჟდანოვის სახელობის კოლმეურნეობაში თავმჯდომარის მოადგილედ და პარტბიუროს მდივნად; 1969 წელს კოლმეურნეობას გამოეყო და ცალკე გაფორმდა თაგილონის კალინინის სა[illegible] ბის კოლმეურნეობა, რომლის თავმჯდო[illegible] მარედ ერთხმად აირჩიეს ეკატერინე ძაძუა.

ახალშექმნილ კოლმეურნეობაში მუშახელის ნაკლებობა იგრძნობოდა. ეკატერინემ პირველადვე სოფელს დაუარა, ინახულა პენსიონერები, გაესაუბრა. მართლაც სულ მალე ბრიგადებში მრავალი მათგანი გამოჩნდა. თავიანთი შრომით პენსიონერებმა თავმჯდომარის მადლობაც დაიმსახურეს და ოჯახსაც სარჩო შემატეს.

კოლმეურნეობაში ძირითადი დარგი ჩაია. იგი გაშენებულია 118 ჰექტარზე, ჩამოყალიბების პირველ წელს კოლმეურნეობამ მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 381 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, ნაცვლად გეგმიური 330 ტონისა. მიმდინარე წელს აქ მოიკრიფა 450 ტონა ფოთოლი, ნაცვლად გეგმიური 388 ტონისა. გარდა

ამისა, კოლმეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა სიმინდი, ტუნგო, აბრეშუმის პარკი.

კოლმეურნეობაში ჩამოყალიბებულია მექანიზატორთა ბრიგადა. ხუთი ჩაის საკრეფი მანქანა მუშაობს თაგილონის პლანტაციებში. მათ ახალგაზრდა მექანიზატორები მართავენ.

ზოგ ახალგაზრდაზე კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ცუდი ხმები ესმოდა: რუსეთში დადიან, სპეკულაციას ეწევიან, უსაქმოდ ხეტიალობენ ქუჩაშიო.

ბიჭები სათითაოდ დაიბარა ეკატერინემ.

— აბა ახლა შენი იმედით ვარ, ჩაის საკრეფი მანქანა იცდის, მართვა უნდა ისწავლო, — უთხრა ერთს, მეორეს და საქმე ისე აეწყო, როგორც თავიდან ჰქონდა დაგეგმილი. დღეს თაგილონში მოწინავე მექანიზატორები არიან ლივტერი და იური ხუბულავები, სლავა შარია და სხვები.

კოლმეურნეთა კეთილდღეობისათვის კიპევრი იყო გასაკეთებელი. დაიწყო ხვალინდელ დღეზე ფიქრი, ოცნება, ძიება.

ადრინდელი ოთხწლედის ნაცვლად რვაწლიანი სკოლა გახსნეს. გაიხსნა საფეროშლო პუნქტი, საკოლმეურნეო ბიბლიოთეკა, კლუბი; ზაფხულში ჩაისა და სიმინდის ფართობებში საველე სასადილოები მუშაობს. დაიწყო სასოფლო გზების გასწორება და მოხრეშა. თვალსაჩინო ადგილას დაიდგმება წინმოუსვლელთა სტენდი. მალე ექნებათ სატელეფონო კავშირი.

თაგილონში და, არა მარტო თაგილონში, მთელს გალის რაიონში პატივისცემით იხსენიებენ ეკატერინეს მამას, აწ განსვენებულ შამილ ძაძუას.

თაგილონში, როცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაიმართა მენშევიკების ბანდასა და ბოლშევიკ პავლე ძიგუას რაზმს შორის, შამილს თავი გამოუჩენია როგორც უშიშარ ბოლშევიკს. შემდეგში კი, როცა გაიმართა აფხაზეთის საბჭოების ყრილობა, შამილი სიტყვით გამოსულა და წამოუყენებია წინადადება მდინარე ენგურის სარწყავად გამოყენების შესახებ.

და მართლაც, დღეს კოლმეურნეობას, რომლის ხელმძღვანელიც შამილის პირმშოა, 11.600 გრძივ მეტრზე აქვს გაყვანილი სარწყავი არხი. ენგური მაცოცხლებელ ძალად ელვრება ფესვებში კოლმეურნეობის სასოფლო-სამეურნეო კულტურებს.

შარშანდელ მაჩვენებლებს თუ გადავხედავთ, კოლმეურნეობამ 74 ჰექტარი ჩაის სარწყავი პლანტაციიდან, ერთ ჰექტარზე გაანგარიშებით, 300 კილოგრამით მეტი ფოთოლი მიიღო ურწყავთან შედარებით.

საბოლოოდ ეს ციფრი ცოტას როდი ნიშნავს.

ასე ჭკვიანურად უძღვება ჩვენი მამების დაწყებულ საქმეს ეკატერინე ძაძუა.

**ი. გამსახურდია**



ხ. ლასურია უმცროს შვილთან ერთად
ფოტო ს. კორობკოვისა

# ხანდაზმულები

აფხაზეთი განთქმულია ხანდაზმულებით. განსაკუთრებით იმატა მათმა რიცხვმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ.

ერთ-ერთი უხუცესი აფხაზი ქალია ხიფაფ ლასურია, ჩემი თანასოფლელი. იგი 1837 წელსაა დაბადებული. თავისთავად 133 წელი იშვიათი მოვლენაა ხანდაზმულთა შორისაც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ ასაკში ხიფაფ ლასურიამ შესძლო მთლიანად შეენარჩუნებია შრომისუნარიანობა.

ამ მხრივ აფხაზეთის ღრმად მოხუცთა შორის გამოირჩეოდა აწ განსვენებული აშხანგერ ბჟანია, რომელმაც 148 წელი იცხოვრა. მას სიკვდილამდე შერჩა სმენა, მხედველობა, კბილები, სიკვდილამდე მუშაობდა ფიზიკურადაც. მეორედ რომ იქორწინა, 120 წლისა იყო. შეეძინა შვილები, რომლებიც ამჟამადაც ჯანმრთელად არიან.

როცა მე ხიფაფს ვხედავ, უნებურად ბჟანია მახსენდება. ეს იმიტომ, რომ ხიფაფ ლასურიას 133 წლის ასაკშიც აქვს მხედველობა, სმენა და შრომის უნარი.

ხიფაფი მთიანი სოფლიდან, ოჩამჩირის რაიონის სოფელ გუპიდანაა. ის ღარიბი გლეხის — ჯანხვატ ბაგათელიას ოჯახში დაიბადა. იყო ჯანმრთელი. ბავშვობიდანვე უყვარდა შრომა. დღისით ბატონთან მუშაობდა, საღამოობით ართავდა, ქსოვდა.

ოცი წლისა გათხოვდა, მაგრამ მალე დაქვრივდა და მოულოდნელად ერთადერთი შვილიც დაკარგა.

მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, აფხაზების თურქეთში გადასახლების პერიოდში, ხიფაფიც მშობლებთან ერთად თურქეთში გადახვეწეს, მაგრამ მან მოახერხა მონობისაგან თავის დაღწევა და სამშობლოში დაბრუნება. იგი მისთხოვდა ოჩამჩირის რაიონის სოფელ კუტოლის მკვიდრს ოსმან ლასურიას და ამჟამადაც ამ სოფელში ცხოვრობს.

მე იგი პირველად დაახლოებით 1930 წელს ვნახე, და რამდენადაც მახსოვს, ისეთივე იყო, როგორიც ამჟამადაა — ცოცხალი, სუსტი აღნაგობის, მომცრო ტანის.

კოლმეურნეობაში ხიფაფ ლასურია მუხლმოუღლელი მუშაობს მისი დაარსებიდან დღემდე. სხვებისაგან გამოირჩეოდა და ახლაც გამოირჩევა შრომისუნარიანობით. იგი წლების მანძილზე კოლმეურნეობის გამგეობის წევრად ითვლებოდა. 1940 წელს საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეც იყო.

ხიფაფი დღეს ახალგაზრდების გვერდით შრომობს; თავისუფალ დროს უყვება მათ თავის მძიმე წარსულზე, მოუწოდებს უყვარდეთ ოქტომბრის მონაპოვარი. ყმაწვილქალობის გახსენებისას, ზოგჯერ ახალგაზრდებთან ერთად იწყებს სიმღერასა და ცეკვას.

ჩვენს მხარეში ხიფაფის გარდა ბევრია ხანდაზმული, რომლებსაც შრომის უნარი შენარჩუნებული აქვთ. ამის მაგალითად მხატვრული შემოქმედების სახლთან არსებული ხანდაზმულთა სიმღერის გუნდი გამოდგება, რომელიც ერთადერთია მსოფლიოში.

ჩვენთან სიცოცხლის ხანგრძლივობას აპირობებს გონივრული შრომა, ბედნიერი ცხოვრება, მომავლის რწმენა და აფხაზეთის რბილი, სუბტროპიკული კლიმატი.

**ზუშა პაპასკირი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია



## ცხვრის გულ-ღვიძლის მწვადი

ერთი ცხვრის ან ბატკნის ღვიძლი, გული, ფილტვი, თირკმლები კარგად გარეცხეთ, დაჭერით დიდ ნაჭრებად, მოაყარეთ გემოვნებით მარილი, დანაყილი პილპილი, სუნელი, თუ გსურთ, დაუმატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი, აურიეთ და ცოტა ხანს გააჩერეთ. შემდეგ ააგეთ შამფურზე და შეწვით ნაკვერცხალზე შამფურის ტრიალით. როცა ცოტა შეწითლდება, მთლიანად შემოახვიეთ მისივე შიგნეულის მფარავი ფარი (წინასწარ გარეცხილი), შემოახვიეთ წმინდა კანაფი, მოაყარეთ მარილი და თავი და ბოლო დაამაგრეთ შამფურზე. შეწვით ნაკვერცხალზე შამფურის ტრიალით.

## ხორცი ბადექონში

გარეცხილი, გასუფთავებული ცხვრის ბადექონი დაალბეთ წყალში 30-40 წუთს. შემდეგ ისევ კარგად გარეცხეთ და შეამშრალეთ.

500 გრ ცხვრის რბილი, მსუქანი ხორცი და 4 თავი ხახვი გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში. დაკეპილ ხორცს დაუმატეთ დანაყილი წიწაკა, ნიორი, წვრილად დაჭრილი ქინძი, მარილი, 1 ცალი გათქვეფილი კვერცხი და კარგად აურიეთ. ამის შემდეგ ფრთხილად შეურიეთ მჟავე ბროწეულის მარცვლები.

ბადექონი დაჭერით 4-5 ნაჭრად. თითოეულ ნაჭერზე მოათავსეთ გამზადებული ხორცი და შემოკეცეთ. დააწყვეთ ნაკეცით ტაფაზე და შეწვით უცხიმოდ. ერთი მხარე რომ შეიწვება, გადააბრუნეთ და შეწვით თავლია ტაფაში მეორე მხრიდან. აღნიშნული მასალა შეიძლება შამფურზეც შეიწვას; ოღონდ მაშინ საჭიროა ძაფით დამაგრდეს, რომ შეწვის დროს არ ჩაიშალოს.

## ნიგვზით შეკმაზული ლობიო

500 გრამი ხმელი ლობიო მოხარშეთ და გადაიტანეთ თუშფალანგში. რომ სითხისაგან დაიწრიტოს. $1/_2$-1 ჩაის ჭიქა ნიგოზი დანაყეთ, შემდეგ დაუმატეთ თქვენს გემოზე აჯიკა. კვლავ დანაყეთ და თან ზეთი გამოხადეთ. ზეთგამოხდილი ნიგოზი შეურიეთ მოხარშულ ლობიოს, კარგად აზილეთ, მოათავსეთ შესაფერ ჭურჭელზე და ზემოდან დაასხით ნიგვზის ზეთი.

## ამოლესილი ლობიო

500 გრ ლობიო ჩაყარეთ ქოთანში, დაასხით წყალი და მოხარშეთ. ხარშვის დროს ჩაუმატეთ წვრილად დაჭრილი 3-4 თავი ხახვი. როცა ლობიო მოიხარშება, შეაზავეთ თქვენი გემოვნებით აჯიკით ან წვრილად დაჭრილი მწვანილით (ქინძი, პრასა, კამა, ნიახური), მარილით, დანაყილი ნივრით (ნახევარი კბილი) და კარგად ამოლესეთ.



## შემწვარი ქათამი

გასუფთავებული, გარეცხილი, გამშრალებული ქათამი ააგეთ შამფურზე და შეწვით ნაკვერცხალზე შამფურის ტრიალით. ქათამი ცოტათი რომ შეწითლდება, შეწვის დასრულებამდე, ხანგამოშვებით წაუსვით ნიგვზის ზეთში ალესილი აჯიკა (გემოვნებით), შემწვარ ქათამთან ერთად სუფრაზე მიიტანეთ ტყემლის საწებელი, აჯიკით ან მწვანილით შეზავებული.



## ქათამი ნიგვზის წვენით

ქათამი მოხარშეთ და ასო-ასო დაჭერით. 1-$1/_2$ ჩაის ჭიქა ნიგოზი, ცოტა მარილთან ერთად დანაყეთ, ჩაუმატეთ შიგ 1 კბილი ნიორი და ერთად კარგად დანაყეთ. დაუმატეთ აჯიკა გემოვნებით და ერთხელ კიდევ კარგად დანაყეთ. ხელი დაისველეთ ცივი წყლით, აიღეთ გამზადებული ნიგვზის მასალა, დაზილეთ და მუჭით გამოწურეთ ზეთი ზეთგამოხდილი ნიგოზი გახსენით ქათმის ნახარშ წვენში, ჩაასხით ქვაბში, ჩააწყვეთ შიგ მოხარშული ქათმის ნაჭრები, დაუმატეთ ნიგვზის ზეთში მოშუშული ხახვი (2-3 თავი) და ადუღეთ 3-5 წუთი, შეაზავეთ ბროწეულის წვენით (2-3 სუფრის კოვზი), გადაიტანეთ შესაფერ ჭურჭელში და ზემოდან მოასხით დარჩენილი ნიგვზის ზეთი.

**თამარ სულაქველიძე**

გარეკანის პირველ გვერდზე — ოჩამჩირის რაიონის სოფელ კვიტაურის მოწინავე მეთამბაქოე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ევა საქანია; მეოთხე გვერდზე — რიწის ტბაზე

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთა მმართველის—93-98-54. გადაეცა ასაწყობად 9/X-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 9/XII 70 წ. ქაღალდის ზომა 60×90$^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 111700. შეკვ. 3028 უე 02256 ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი „საქართველოს ქალი".
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».
Издательство ЦК КП Грузии.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოქანდაკე ჟ. კუკულაძე

სულ ცოტა ხნის წინ ამ ქალიშვილს მხოლოდ ახლობლები და მეგობრები იცნობდნენ. ცხრამეტი წლის იყო **ნადეჟდა კურჩენკო**, როცა დაიღუპა.

მის ცხოვრებაში არაფერი იყო განსაკუთრებული, ისეთი, რაც გამოარჩევდა მას სხვა საბჭოთა ქალიშვილებისაგან. უყვარდა პოეზია, უყვარდა სპორტი, ბევრს მოგზაურობდა.

განა შეეძლო სამგზავრო თვითმფრინავ „ან-24"-ის ბორტგამყოლს წარმოედგინა, რომ ერთ დღეს მისი სახელი მთელს ჩვენს თვალუწვდენელ სამშობლოზე გადაიქუხებდა?

ჰო, იყო დრო, როცა ყოველდღიურად, ყოველ წუთს უმაგალითო გმირობას სჩადიოდნენ მისი თანატოლი კომკავშირელები. მაგრამ ის სხვა დღეები იყო — სამშობლოს განსაცდელის, ძნელბედობის დღეები.

მისთვის კი განსაცდელის ჟამმა წელს, ოქტომბრის მშვიდ, ოქროსფერ დღეებში დაჰკრა და ნადიამ უყოყმანოდ შეუშვირა მკერდი ბანდიტების ტყვიას, რომ საფრთხისაგან ეხსნა თავისი ეკიპაჟი და მგზავრები.

იმ ტყვიამ ნადეჟდა კურჩენკო უკვდავი გახადა.

სამშობლო წმინდად ინახავს გმირი ქალიშვილის ხსოვნას.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ИНДЕКС 76178